წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | სამშაბათი, 23 მარიამობისთვე 1916 წ. | № 187

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] გვერდზე პეტიტით ღირს 15 [illegible] კნელზე—10 კ. [illegible] ლებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღ. 1 მ. მეტი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**ფასი დღიურად დირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პროვინციაში:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 8 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**

ამა წლის 19 მარიამობისთვეს ს. ქსოვრისში (დუშეთის მაზრაში) ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გენერალ-მაიორის ქვრივი

## ქნ. მანანა ზაალის ასული
## რაჭიშვილისა

რასაც გულითად მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძმისწული განსვენებულისა თ-დი **დიმიტრი ერასტის ძე ჩოლოყაშვილი** და დისწული **ელისაბედ კონსტანტინეს ასული გენეროზოვისა.**

პანაშვიდი და დაკრძალვა დღეს სამშაბათს 23 მარიამობისთვეს დიდუბის ეკლესიაში.

(1—304—1)

## ახალი კლუბი

**ერთი კვირის პროგრამა 22—28 აგვისტომდე.**

**ორშაბათი**—ოპერეტკა.

**სამშაბათი**—სიმფონიური კონცერტი გესის ლოტბარობით.

**ოთხშაბათი**—გამოსამშვიდობებელი ბენეფისი ლოტბარ მ. ა. ვოლფ-იზრაელისა.

**ხუთშაბათი**—ქართული წარმოდგენა—სამხედრო ორკესტრი.

**პარასკევი**—სინემატოგრაფი—სიმფონიური კონცერტი ვოლფ-იზრაელის ლოტბარობით.

**შაბათი**—სიმფონიური კონცერტი გესის ლოტბარობით.

**კვირა**—როგორც დიდი უქმის წინა დღე არავითარი გასართობები არ იქნება.

დასაწყისი: კონცერტებისა სად. 9 საათზე.
„ სპექტაკლისა 8½ საათზე.
„ სინემატოგრაფისა 8½ საათზე.

კლუბში შესასვლელი ფასები ჩვეულებრივია. ორშაბათს, სამშაბათს და შაბათს შესასვლელი ფასი მამაკაცისა 1—05 კაპ., მანდილოსნებისა და სტუდენტებისა—65 კაპ. (1—226—1)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

## კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

| | |
|---|---|
| საუზმე | ჩაი |
| სადილები | ყავა |
| ვახშმები | ხაჭაპური |
| | პიროჟკები |

ადგილობრივი და უცხოური ხაშმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხილ. ს. გიგიბერია.

## ახალი მელანი
## კოტე ონიკაშვილისა

მელანი ასლის ასაღებადაც („კაპიროვკისთვის“) კარგია

დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგ ფასებში

ვინც 20 მანეთზე მეტს გამოიწერს ფლაკონით ეღირება 1 მ. 20 კაპ. ფუთი უბრალო შუშით 40 მან.

სანიმუშო მელანი ფას დადებით გაეგზავნებათ.

მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს

მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

ღვინის საწყობი

## ნიკო გ. სესიაშვილისა

იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი

## კახური ღვინო

განოვის ქუჩა № 4.

სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.

(185—ტ.)

ექიმი

## მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

დ. ზესტაფონში

ექიმი

## დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

## ა. დ. შაჰბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. სად. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ექიმი-დოსტაქარი

## ბ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან **იღებს მანგლისში** კორპუსის ბანაკში

თბილისი, 23 მარიამობისთვე.

## უცხო კაპიტალი

უცხო კაპიტალის მნიშვნელობაზე ბევრი თქმულა ეკონომიურს ლიტერატურაში. ჩვენშიც საკმაოთ დაწერილა. ახალი რამის თქმა ძნელია ამ საგანზე. მაგრამ შესაძლებელიც არის და საჭიროც ნათქვამს კაცმა მოკლე ნუსხა გაუკეთოს და ზოგიერთი უყურადღებოთ დატოვებული თუ დაჩრდილული მხარე ხელახლა გააშუქოს. მით უმეტეს, რომ ძნელათ მოიძებნება მეორე საკითხი, რომელსაც მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისათვის. განსაკუთრებით დღეს, როცა საქმიანობის ხალისი ჩვენშიც იღვიძებს და შეძენის ჟინი ნერვიულ ცხელებასავით ედება დიდსა თუ პატარას.

შესაძლებელი და მოსალოდნელია, რომ ომის შემდეგ კიდევ უფრო იმატებს ეკონომიური ცხოვრების ტემპერატურა. არა მარტო მოწინავე სამრეწველო ქვეყნებში, სადაც მან უკვე მიაღწია დუღილის წერტილს, არამედ ჩვენს სამშობლოშიც, სადაც ის ბოლო დრომდე გაყინულ მდგომარეობას აჩვენებდა. ცნობილია, რომ ყინულის მასის გალხობა და შეხლა-შემოხლა დიდ გეოლოგიურ და ბიოლოგიურ ცვლილებებს იწვევს დედამიწის ზედაპირზე. ზოგიერთი ცხოველი და მცენარე, რომელიც ბრხეინათ ცხოვრობდა და მრავლდებოდა ყინულიანი მინდვრებისა თუ მთაგორების გვერდით, ვერ უძლებს ზედმეტს სითბოს და ჩრდილოეთისკენ სახლდება ან სრულიად ისპობა ყინულის გალხობასთან ერთად. უნდა ვიზრუნოთ, რომ კაპიტალიზმის გოლფშტრომმა ქართველებს ისეთი საქმე არ გვიყოს, რაც ყინულის პერიოდის გაქრობამ მამონტებსა, ჩრდილოეთის ირმებსა და ზღვის ძაღლებს უყო: ჩვენი ძველი მიწაწყალი არ მოატიტვლოს და ჩვენი გვარტომობა სამუზეო სანახაობად არ აქციოს.

თუ ნიშნები არ გვატყუებენ, ომის შემდეგ უცხო კაპიტალის ფართე შემოტევას უნდა ველოდეთ ჩვენს ქვეყანაში. უკვე ომის დაწყებამდე ხშირად გვწვევიან ევროპიელი სტუმრები, რომელნიც მადნეულობას და ხეტყეს ეძებდნენ საექსპლოატაციოდ. ამ მიზნით ჩვენში მოვიდნენ არა მარტო საეჭვო ავანტიურისტები და ბედის მაძიებლები, არამედ ისეთი პირებიც კი, როგორიც არის ავგუსტ ტისსენი, გერმანიის პირველი მწარმოებელი, გელზენკირხენის საზოგადოების მთავარი აქციონერი და ვილჰელმ II მეგობარი. კავკასია უკვე კარგა ხანია მომავლის ქვეყანად ითვლება ევროპიელი კაპიტალისტების თვალში. სხვათა შორის აქაც ელიან ისინი ქვანახშირისა და ლითონის სანაზღაუროს, როცა ეს განძი მათ ძველს სამშობლოში შემცირდება ან გამოილევა. გამოლევაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია რასაკვირველია, მაგრამ სიმცირე ზოგან იმდენად საგრძნობელია რომ ხელსაყრელი ხდება შორეული ხელუხლებელი რაიონების გამოკვლევა და და ექსპლოატაცია. ეს ტენდენცია კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს ახლო მომავალში, მიტომ რომ ომის დროს ქვანახშირისა და ლითონის ხარჯმა საზღაპრო ზომა მიიღო: საკმაოა გავიხსენოთ რომ მთავარი მებრძოლი სახელმწიფოები და შეერთებული შტატები ერთს დღეში იმდენს სამხედრო მასალას ამზადებენ, რაც წინად მთელი წლის განმავლობაში მზადდებოდა და ეს განუზომელი ნივთიერება უნაყოფოდ იკარგება ეკონომიური თვალთსაზრისით. როგორც ამბობენ ვერდენის მიდამოები თუჯისა და ფოლადის პარტერად იქცა ალაგ-ალაგ, იმდენად ძლიერია იქ თოფისა და ზარბაზნის მოქმედება.

ამასთან ერთად ომი კაპიტალის უმაგალითო კონცენტრაციას იწვევს. სიმდიდრე თავს იყრის განსაკუთრებით ზოგიერთს ნეიტრალურ სახელმწიფოში, ზოგიერთი მსხვილი მწარმოებლის ხელში. ეს გარემოება უეჭველად არაჩვეულებრივად გააიაფებს კაპიტალს, როგორც ეს ეხლაც სჩანს შვეციასა, ნორვეგიასა და შეერთებულს შტატებში. სიიაფე კი მას მოგზაურობისა და ძიების ხალისს შემატებს, როგორც ეს წარსულში ხდებოდა.

ომამდე ყველაზე ნაკლებ შემოსავლიანი ანუ იაფ-ფასიანი კაპიტალი საფრანგეთს ჰქონდა, შემდეგ ინგლისს, გერმანიას, ბელგიას. ეს ქვეყნები ყველაზე მდიდარნი იყვნენ, განვითარებული მრეწველობით და აღებმიცემობით აღჭურვილნი და ფულით გამაძღარნი: ფრანგ, ინგლისელ, გერმანელ ან ბელგიელ კაპიტალისტს თანდათან უძნელდებოდა კაპიტალის ნაყოფიერად დაბინავება სამშობლოში და ამიტომ ენერგიულად მიიწევდა უცხოეთისაკენ. ის იჭრებოდა ეკონომიურად ღარიბ და უკან ჩამორჩენილ ქვეყანაში და აცხოველებდა მის წარმოებასა და მეურნეობას. ახალგაზრდა ინდუსტრიული ქვეყნები—შეერთებული შტატები, კანადა, არგენტინა, მექსიკა, ავსტრალია, რუსეთი დასავლეთი ევროპის კაპიტალმა გამოიყვანა კაპიტალისტური განვითარების გზაზე. ომის დაწყებამდე ინგლისს დაახლოებით 25 მილიარდი მანეთი ჰქონდა საზღვარგარედ დაბინავებული, საფრანგეთს—16 მილიარდი, ხოლო გერმანიას—12 მილიარდი.

თავისთავად უცხო კაპიტალის შეჭრა სრულიად საფრთხეს არ წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყნისთვის, თუ მას წინ განვითარებული ეროვნული შეგნება და დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა ეგებება. მისი შემოსავლის უდიდესი ნაწილი ადგილობრივ რჩება სამუშაო ქირის, დასამუშავებელი მასალის საფასურისა და სარკინისგზო ტარიფის სახით, უცხოეთში მხოლოდ უმცირესი ნაწილი მიდის როგორც სარგებელი და დივიდენდი. ასეთ შემთხვევაში უცხო კაპიტალი ხელს უწყობს ეროვნულ სიმდიდრის ამოძრავებას და ბოლოს ნელ-ნელა ითქვიფება და იკარგება მასში. ბამბის პლანტაციების წარმოშობა შეერთებულ შტატებში, რკინის გზებისა და არხების გაყვანა თითქმის სავსებით უცხოელი, განსაკუთრებით ინგლისური ფულის საქმე იყო. მაგრამ დღეს დიდი ამერიკული რესპუბლიკის კაპიტალიზმს აღარ ეტყობა ამ წარმოშობის ნიშანი და ის თვით ინგლისს მძლავრ მეტოქეობას უწევს მსოფლიო ბაზარზე. რუმინიის ნავთის წარმოება გერმანული და ფრანგული კაპიტალის ნაყოფია. სამხრეთ რუსეთის სამთამადნო და სალითონო მრეწველობა ფრანგულისა და ბელგიურისა. მარტო პატარა ბელგიამ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულამდე სააქციო კაპიტალის სახით 720 მილიონ ფრანკამდე შეიტანა რუსეთის წარმოებაში: შეიძლება რუსეთს ვერასოდეს ვერ დაეღწია თავი ეკონომიური ჭაობისათვის, უცხო კაპიტალის დახმარება რომ არ აღმოჩენოდა.

მაგრამ როცა ქვეყანა ეროვნულ შეგნებასა და სახელმწიფო ძალას მოკლებულია უცხო კაპიტალის გავლენა პირდაპირ გამანადგურებელი ხდება. ოსმალეთში, სპარსეთში უცხო კაპიტალი პოლიტიკურ ძალად იქცა და ეროვნულ ცხოვრებაში სრული დეზორგანიზაცია შეიტანა. კიდევ მეტი უბედურება ეწვია ზოგიერთ ველურსა და ბარბაროსულ ქვეყანას სადაც ევროპიულმა კაპიტალმა საახალშენო კაპიტალის სახე მიიღო. მას თან შეჰყვნენ არა მარტო ინჟინრები და ტეხნიკოსები, მოხელეები და მუშები, არამედ არაყი და ვენერიული ავადმყოფობაც, რამაც ადგილობრივი მკვიდრნი გადაშენების გზაზე დააყენა.

ჩვენთვისაც უფრო ის უცხო კაპიტალია საშიში, რომელიც მთელი ჯალაბობით მოდის საქართველოში და რასიულ ან პოლიტიკურ ძალად ჰხდება. ასეთი კაპიტილი მარტო პროცენტითა და დივიდენდით როდი კმაყოფილდება: ის სცდილობს მიწა-წყლის ხელში ჩაგდებას. უცხოელი მუშებისა და ტეხნიკოს-ინჟინრების ჩამოთესლებას, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გავლენის მოხდენას. ჭიათურის შავი ქვის წარმოება საილუსტრაციოდ გამოდგება ამ აზრისათვის. 1913 წელს ფოთიდან და ბათუმიდან დაახლოებით 10½ მილიონი მანეთის შავი ქვა გაზიდეს. აქედან მუშების ხელფასი დაახლოებით 2 მილიონსა და 130 ათასს მან. უდრიდა, რკინის გზის შემოსავალი 5 მილიონსა და 615 ათასს, დანარჩენი კაპიტალი, მიწის მესაკუთრეების და მრეწველთა საბჭოს შემოსავალს წარმოადგენდა. რაც უფრო შორდება შავი ქვა ჩვენი ქვეყნის ნავთსადგურებს, რაც უფრო უახლოვდება ევროპის დიდ სამრეწველო წენტრებს, მით უფრო მატულობს მისი ფასი და ბოლოს გერმანული, ინგლისური და ამერიკული სამეტალურგიო ინდუსტრიის წყალობით ძვირფას განძად ხდება და ხშირად ჩვენვე გვიბრუნდება დამუშავებული ნაწარმოების სახით. ლომის კერძი უცხოელებს მიაქვთ, ჩვენ მხოლოდ ნამცეცები გვრჩება რასაკვირველია; მაგრამ რავდენად უარესი იქნებოდა ჩვენი მდგომარეობა მრეწველებთან ერთად მუშებიცა და მიწის მესაკუთრეებიც რომ უცხოელები ყოფილიყვნენ, როგორც ეს მაგალითად ბორჩალოს მაზრაშია, ალავერდის წარმოებაში?

ეროვნული კაპიტალის კულტურულ როლზე ბოლო დროს ბევრი რამ ითქვა ჩვენს პრესაში. საჭირო აღარაა ნათქვამის გახსენება. მით უმეტეს რომ უკანასკნელი თვის ერთმა მნიშვნელოვანმა მოვლენამ უკიდურესი სკეპტიკოსებისათვისაც კი ნათელჰყო ეს როლი. ქართული ინდუსტრიის დამაარ-

სებელის ა. სარაჯიშვილის მეუღლემ თითქმის მთელი თავისი უზარმაზარი ქონება ქართულ საკულტურო და საგანმანათლებლო საქმეებს უძღვნა. ამ სულგრძელი ანდერძის მნიშვნელობას ჩვენი საისტორიო მეცნიერებისა, სიტყვა-კაზმული მწერლობისა, დრამატიული ხელოვნებისა და სწავლა-აღზრდისათვის მხოლოდ მომავალი თაობები დააფასებენ სავსებით. მხოლოდ ისინი დაინახავენ იმას, რასაც ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ სათანადო პერსპექტივის უქონლობის გამო.

იმედი უნდა ვიქონიოთ რომ ქართველმა ხალხმა უკვე საბოლოოდ განვლო უილაჯობის ხანა და უცხო კაპიტალი ხვალ ჩვენთვის ისე საშიში აღარ იქნება როგორც გუშინ იყო. საერთაშორისო ეკონომიურ ფერხულში ჩვენი ბურჟუაზიაც ჩაება და კაპიტალის დაგროვება და კონცეტრაცია ჩვენშიც დაიწყო. ამ გზაზე გაჩერება შეუძლებელია. სიმდიდრის ძიება ალპიურ სპორტს ჰგავს რამოდენიმეთ: რაც უფრო მაღლა მიიწევ მწვერვალისაკენ, მით უფრო ფართე ტატნობი გეშლება თვალ წინ და მით უფრო გიცხოველდება წინსვლის წყურვილი. ბოლოს შეიძლება ფეხი დაგიცდეს და კლდეზე გადაიჩეხო. ზოგიერთი მოაზროვნე ამტკიცებს, რომ არა თუ ერთსა და ორს კაპიტალისტს, მთელ კაპიტალისტურ საზოგადოებას ასეთი გადაჩეხა ანუ კატასტროფა მოელის. ეს შესაძლებელია. შესაძლებელია ისიც, რომ კაპიტალისტური წესწყობილება თანდათან მოიშალოს და შეუმჩნევლად ადგილი დაუთმოს სხვა უფრო მაღალს ფორმას წარმოებისას. უცვლელი არაფერი არის ამ ქვეყანაზე. კაპიტალიზმიც ისეთივე ისტორიულად აღმოცენებული მოვლენაა, როგორიც ფეოდალიზმიან მონობაზე დაფუძნებული საზოგადოება იყო და შეიძლება მათსავით მოისპოს ერთს დროს. მაგრამ სანამ ის არ მოსპობილა, ქართველ ერს მართებს ბრძნულად ისარგებლოს მისი მადლით და მიიღოს რის მოცემაც მას შეუძლია.

გერონტი ქიქოძე.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

რუმინეთის გამოსვლამ ჯერ-ჯერობით ბრძოლის ასპარეზზე ღირსშესამჩნევი ცვლილება ვერ მოახდინა. ბრძოლის პირის მოხაზულობა კვლავინდებურად შეუცვლელად სდგას და მოპირდაპირენი ალაგ-ალაგ ჩვეულებრივ სიმკაცრით უტევენ. რაც გინდა მცირე სახელმწიფო იყოს რუმინეთი, ნახევარ მილიონზე მეტი ჯარი მაინც ჰყავს, ისიც ახალი, მოუქანცავი და შეიარაღებული საუკხოვოდ. მაშასადამე, მისი გალაშქრება ისედაც დამარცხებულ ავსტრიის წინააღმდეგ ძალიან დიდი დახმარებასა მოკავშირეთათვის. თვით ავსტრია-უნგრეთს კი საქმეს უფრო მეტად გაურთულებს და საგონებელში ჩააგდებს. ჩვენ ყველა ასე ვფიქრობთ და თვით მდგომარეობაც ამას გვიკარნახებს, მაგრამ ამავე დროს ოფიციალი დეპეშები თითქოს სულ სხვას გვეუბნება. ვინ წარმოიდგენდა, რომ რუსების გალიციაში შეჭრის და რუმინეთის გამოსვლის შემდეგ ავსტრიელები უცბად იერიშებს დაიწყებდნენ იტალიელების წინააღმდეგ. რა მოსაზრებით, ან რის იმედით ამის თქმა არავის ძალუძს. ან და რა მიზანი აქვთ დასახული გერმანელებს, როდესაც ბალკანეთის საკითხის გამწვავების დროს, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ცენტრალურ სახელმწიფოებისათვის, დასავლეთით შეტევის გზას ადგებიან და მასთანვე თვით ვერდენს ჩვეულებრივ სიმკაცრით ეკვეთებიან. რა უნდათ ამითი სთქვას გერმანეთმა ეს, მეტად რთული და მასთან გამოურკვეველი საკითხია. ჩვენ ადრევე რუმინეთის გამოსვლა დაგვიანებულად ჩ ვთვალეთ. ვიცოდით, რომ ისინი შემოდგომით და ზამთარში ფართო ოპერაციებს ვერ აწარმოებენ, ვინაიდან ტრანსილვანია მთაგორიანი ადგილია. აქაც რუმინეთს ისეთივე პოზიციური ბრძოლა დასჭირდება როგორც იტალიელებს ალპებში. ეს გარემოება კი შეძლებას აძლევს ავსტრიას სულ მცირე ძალებით გაუმკლავდეს რუმინეთს და დროებით მაინც მთავარი მოქმედება სხვა ასპარეზზე გადაიტანოს. როგორც ცნობებიდან სჩანს, ეს ასეც ხდება. თუმცა რუმინეთი უკვე შეესია ტრანსილვანიას, მაგრამ ავსტრიელები მაინც ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ და ინიციატივას და აქტივობას ჯერ-ჯერობით ისევე მთავარ ასპარეზზე იჩენს. სულ სხვა მდგომარეობა დამყარდება, თუ რუმინეთი თავის მახვილს მოაბრუნებს და ბულგარეთს ეკვეთება. მაშინ თავისთავად ცხადია, ცენტრალურმა სახელმწიფოებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ბალკანეთს და იხსნან თავიანთი მოკავშირე განსაცდელისაგან. საუბედუროდ ჩვენ ამის ნიშნებს მაინც ვერ ვხედავთ. ჯერაც არ ვიცით გამოუცხადა ომი ბულგარეთს რუმინეთმა თუ არა. რაც შეეხება ბულგარეთის წინააღმდეგ გალაშქრებას, ამაზე ხომ არავინ ხმას არ იღებს და არც არავითარი ცნობა მოსულა. ასე რომ რუმინეთის გამოსვლას ახლა მაინც ცოტა არ იყოს დეკორატიული ხასიათი ეძლევა.

დასავლეთის ბრძოლის ველზე გერმანელებმა განაახლეს იერიშები და ესტრესთან წინად დაკარგული სანგრები დაიბრუნეს.

ამავე დროს მათ ქარიშხალისებური ცეცხლი გააჩაღეს ვერდენის გარშემო.

იტალიელების წინააღმდეგ ავსტრიელებს იერიშები მიაქვთ, მაგრამ უშედეგოდ.

აღმოსავლეთ ასპარეზზე ზოლოჩევის და გალიჩის მიმართულებით სასტიკი ბრძოლა გრძელდება. ეტყობა აქ რუსებს საგრძნობელი ზარალი მოსვლიათ. მთავარი შტაბი იტყობინება, რომ მოჰკლეს პოლკოვნიკი გიდესი და დასჭრეს პოლკოვნიკი ჩესნოკოვი.

ინგლისზე გერმანელების ცეპელინები გამოჩნდა და სხვა და სხვა ადგილებში ყუმბარებს ჰყრიან. დეპეშა გადმოგვცემს, რომ თავდასხმა ჯერაც გრძელდებაო.

X.

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი**, 21 აგვ. ოფიციალი. მთავარსარდლის შტაბისაგან. დასავლეთის ფრონტი. დ. ტობოლის სამხრეთ-დასავლეთით, მდ. სტოხოდზე მტერმა შემოტევა დაიწყო, მაგრამ ჩვენმა ქვეითმა ჯარმა მტრის იერიში უკუაგდო. ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით, შელვოვისა და კორიტნიცის რაიონში, დაწყებული მკაცრი ბრძოლა არ შეწყვეტილა. ზლოჩევსკის და გალიჩის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს, მტერს დასავლეთით დაახევინეს და მისი რამოდენიმე პოზიცია დაიჭირეს. მტერი მედგრად იცავს თავს, მოაქვს კონტრ-იერიშები, მაგრამ ყოველგან უკუგდებული რჩება. ვორონჩნკის სამხრეთით კორომეზის მიმართულებით ჩვენ ავიღეთ რამდენიმე მაღლობი ადგილი.

**კავკასიის ფრონტი.** შევაჩერეთ ოსმალთა შემოტევა გიუმიშხანის დასავლეთით. მტერმა დიდი ზარალი ნახა და უკან დაიწია. კიალკიტ ჩივილკის დასავლეთით ჩვენ ხელთ ვიგდეთ 8 ოსმალოს ოფიცერი და 215 ასკერი. ერთ ადგილას ოსმალებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ ვერას გახდნენ, ბრძოლის ველზე დასტოვეს რამოდენიმე მოკლული მეომარი და უკუიქცნენ. სოფ. ჩორმუქის რაიონში ტყვეები წამოვიყვანეთ და ხელთ ვიგდეთ 1 ზარბაზანი და 280 ყუთი ტყვია-ყუმბარებით. მოსულის მიმართულებით მტერს ვდევნით საკიზას რაიონში.

**პეტროგრადი**, 21 აგვ. ოფიციალი. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. დასავლეთის ფრონტი. რიგის რაიონში გერმანელებმა იერიში მიიტანეს ჩვენ ლატიშურ ბატალიონებზე, რომელთაც კონტრ-იერიშით უკუაგდეს მოწინააღმდეგე და დიდი ზარალიც მიაყენეს. ზოლოჩევის და გალიჩის მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. აქ ბრძოლაში მოკლულ იქმნა სახელოვანი პოლკოვნიკი გიდესენი, ხოლო მოწინავე სანგარში მძიმედ დაჭრილ იქმნა სახელოვანი პოდპოლკოვნიკი ჩესნოკოვი, უფროსი მორტირების ბატარეისა. რაფაილოვის სამხრეთით, მთის კაპულის რაიონში და აგრეთვე დორნა-ვატრას ახლო-მახლო ჩვენმა ჯარმა მოწინააღმდეგე გამაგრებული პოზიციებიდან განდევნა და რამოდენიმე სიმაღლე დაიჭირა. მტრის კონტრ-იერიშები დაკარგული პოზიციების დასაბრუნებლად ცეცხლით უკუქცეულ იქმნენ; ამავე დროს 300 ტყვე ვიგდეთ ხელთ.

**კავკასიის ფრონტი.** სოფ. ოგნოტის რაიონში სასტიკი ბრძოლა გრძელდება. ალაგ-ალაგ მტერი გარბის. ოსმალთა იერიშები სოფ. ჩერმუკის რაიონში მოგერებულ იქმნენ. ამ სოფელთან ერთი ზარბაზანი ხელთ ვიგდეთ.

—

**ლონდონი**, 21 მარიამ. ოფიციალი. მტერმა დირიჟაბლების დიდი ფლოტით საჰაერო იერიში მოიტანა დიდი ბრიტანეთის ნაპირებზე. განსაკუთრებით აღმოსავლეთი ლონდონის ნაწილზე. იერიში უკუქცეულ იქმნა. ერთი ცეპელინი ძირს ჩამოვარდა ალით შემორტყმული. დირიჟაბლებმა დიდძალი ყუმბარები ჩამოჰყარეს. აქამდე ცნობები არ გვაქვს მსხვერპლთა რიცხვის შესახებ.

**სტოკჰოლმი**, 19 აგვისტო. ვენიდან იტყობინებიან, რომ ბულგარეთმა დილის 10 საათზე ომი გამოუცხადა რუმინეთს.

**ათინა**, 19 აგვ. მოკავშირეთა საზღვაო ესკადრა, რიცხვით 45 გემი და 7 სატრანსპორტო ხომალდი ფრანგი ადმირალი მეთაურობით ნაშუადღევს პირეისა და ფლერის წყლებში მიმოდის. სამ საათზე დიდმა კრეისერმა ათი ტალერის თანხლებით თოფხანის ბადე გაარღვა და კრატონიშში შეიჭრა. მას სხვა გემებიც მიჰყვნენ. საზოგადოების ყველა წრეებში დიდი აღელვება.

**ოდესსა**, 20 აგვ. ახლად დაარსებულ უმაღლეს საერთაშორისო ინსტიტუტში თხოვნების მიღება დაიწყეს. სწავლა 15 სექტ. დაიწყება.

**პეკინი**, 20 აგვ. წარმომადგენელთა პალატამ დაამტკიცა ცზიჩჟუის სამინისტროს შედგენილობა.

**ლონდონი**, 19 აგვისტო. ოფიციალი. დღისით და საღამოთი მოწინააღმდეგემ ძლიერი კონტრ იერიშები მოიტანა 2500 მეტრის სიგრძეზე ჰენშისა და ფუროს ტყის შუა. ხუთი იერიშიდან ორი უკუქცეულ იქმნა. მეხუთე იერიშის შემდეგ მტერმა მოახერხა ზოგიერთი ჩვენი წინ წაწეული სანგრის ხელში ჩაგდება. ბორენირად გეტზასის ჩრდილო აღმოსავლეთით მტრის რამოდენიმე ბატარეია აღმოვაჩინეთ. ამ რაიონში გაზები გავუშვით იპრისაკენ.

**სალონიკი**, 19 მარმიამობ. რევოლიუციურმა მოძრაობამ სალონიკის სამხედრო წრეებში წინააღმდეგობა გამოიწვია. ბოლოს რევოლუციურმა ჯარებმა რომელთაც პოლკოვნიკი ტიმბრაკაკირი მეთაურობს გაიმარჯვა და მოწინააღმდეგენი ბანაკში წაასხა.

**პეტროგრადი**, 20 მარიამობ. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით აღკრძალულია ფოსტაში მაგარი სასმელების ამანათის მიღება და გაგზავნა, თუ გამგზავნელმა სათანადო მოწმობა არ წარმოადგინა სააქციზო უწყებიდან ან პოლიციიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში მაგარ სასმელებს კონფისკაციას უზამენ წითელი ჯვრის სასარგებლოდ.

**ათინა**, 20 მარიამობ. მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობა მოითხოვს იმ პირების განდევნას რომლებსაც გერმანელებისა და ბულგარელებისათვის ეწევიან პროპაგანდას. საზღვაო მინისტრმა დაგზავნა ცირკულიარი, რომლითაც დასასვენებლად დათხოვნილ აფიცრებსა და ჯარისკაცებს უკან იწვევენ ქალაქში წინანდებურად დიდი მღელვარებაა, ხოლო ბირჟაზე სრული მოდუნება.

**პარიზი**, 21 მარიამობ. ოფიციალი. სომის ფრონტზე ჩვენი არტილერია მთელი ღამის განმავლობაში მოქმედობდა. ქვეითა ჯარის ბრძოლა არ ყოფილა, გარდა ერთი იერიშისა გერმანულ სანგრებზე არმანკურთან, სადაც ტყვეები დავიჭირეთ. მაასის მარჯვენით ყუმბარებს სასტიკი სროლაა ფრანგულ პოზიციებზე ტიომონსა, ფლერისა, ვოს ტყესა და შაბიტრს შუა. სხვაგან ღამემ მშვიდობიანად განვლო.

მფრინავთა მოქმედება. ფრანგთა პილოტმა გერმანული ჰაეროპლანი ჩამოაგდო დიეპის ახლო სომმის ფრონტზე; ოთხი სხვა გერმანული აეროპლანი სერიოზულადაა დაზიანებული. ფრანგ ჰაეროპლანთა რაზმმა თავდასხმა მოახდინა მტრის ტერიტორიაზე, ჩამოგდებულ იქმნა 26 ყუმბარა, რამაც სერიოზული ზიანი გამოიწვია.

**ვაშინგტონი**, 21 აგვ. მიღებულია კანონ-პროექტი 8 საათის სამუშაო დღეზე რკინის გზის მუშებისათვის.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**საბერძნეთის პოზიცია.**

მოკავშირე სახელმწიფოთა ელჩები საბერძნეთის მთავრობას შეეკითხნენ, თუ რა პოზიციას დაადგება საბერძნეთი, უკეთუ ბულგარეთის და გერმანეთის ჯარის გადმოსხმა საბერძნეთში გაგრძელდებაო. საბერძნეთის მთავრობამ უფლება. დაიტოვა ამაზე პასუხი შეგვიანებით მისცეს.

**გემის დაღუპვა.**

ინგლისის მთავრობა ნორვეგიისას ატყობინებს: ხმელთა შუა ზღვაში წყალქვეშამ გემი „იდილიე“ დაღუპაო.

**რუმინეთის ჯარის რაოდენობა.**

საერთოდ სათადარიგონიც რომ ჩაითვალოს სულ შესდგება 750—800 ათას მეომრამდე.

**რუმინეთის ვითარება.**

ნაციონალ ტიდენდას კორესპონდენტი იტყობინება: ბერლინის საზოგადოება იტალიისაგან ომის გამოცხადებას გულგრილად შეჰხვდაო, ხოლო რუმინეთის გამოსვლამ დიდად გააცვიფრაო.

„მორნინგ პოსტი“ ამბობს, რუმინეთმა თავის თავზე იღო პასუხის გება, რადგან იცი, თავის სურვილის აღსრულება მხოლოდ მოკავშირეთა გამარჯვების დროს შეიძლებაო. საბერძნეთის რყევა და გარდაუწყვეტლობა რუმინეთს აფიქრებს, მაგრამ უკვე ნიშნებია, რომ საბერძნეთიც მიხვდა თავის მდგომარეობასაო.

## უკანასკნელი დეპეშები

**ბუქარესტში მრავალი საეჭვო პირი შეიპყრეს ქალაქებში აკრძალულია მანიფესტაციები და მიტინგები.**

—

**ამბობენ რუმინელებმა ორშოვო აიღესო.**

—

**ჟურჟევოსა და რუშჩუკის შუა დიდი სროლაა.**

—

**რუმინეთის საზღვარზე რუსები ღამის ორ საათზე გადავიდნენ. ხალხი მუსიკით და ზარების რეკით ხვდებოდა.**

—

**სოფიაში რუმინეთის გამოსვლამ ამაშფოთებელი შთაბეჭდილება მოახდინა. ძვერდან ხლი და როდოსლავოვი მოითხოვდნენ რუმინეთს ომი გამოუცხადოთო. ნაწილი მინისტრებისა დაცდას მოითხოვდნენ.**

—

**რვა ჰეროპლანმა ლუცკში (ავსტრიის საზღვართან) ყუმბარები ჩამოჰყარა. მსხვერპლი შესამჩნევია.**

—

# ფინეთის ავტონომია

**I. ფინეთი როგორც სახელმწიფო; II. ფინეთის ძველი კონსტიტუცია; III, ფინეთის განახლებული კონსტიტუცია და IV. ფინეთის არსებული მდგომარეობა.**

### I ფინეთი როგორც სახელმწიფო.

სანამ საკითხის გარჩევას შეუდგებოდეთ, საჭიროდ მიმაჩნია საკითხის გასაადვილებლათ, მოვაგონო ჩვენს მკითხველებს ის ისტორიულ-იურიდიული დებულებანი ანუ საბუთები, რომელნიც შეადგენენ საფუძველს და მსჯელობის გამოსავალ წერტილს დასმულ საკითხის გარჩევის დროს, და რომელზედაც ემყარებიან ყველა მეცნიერ-მკვლევარნი ამ საკითხისა. ეს საბუთები წარმოადგენენ ორ ისტორიულ და იურიდიულ მოვლენას, რომელთაგან ერთი მათგანი გამოიხატება რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველის ფინეთის ერისადმი 1808 წლის ივნისის თვეში მიმართულ მანიფესტში. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთ-სვერიგეთის ომი ჯერ დასრულებული არ იყო და ფინების რუსეთისკენ გადახრა დიდ როლს ითამაშებდა უკანასკნელის სასარგებლოდ. იმპერატორი ალექსანდრე პირველი თავის მანიფესტებში ჰპირდებოდა ფინეთის მცხოვრებთ მრავალ სიკეთეს: „ძველ დებულებათა“ დატოვებას და შემდეგ ამისა მოუწოდებდა წარმომადგენლების გასაგზავნად პეტერბურგში, რომელნიც უნდა ყოფილიყვნენ არჩეულნი ოთხივე წოდებისაგან, თანახმად ფინეთში განმტკიცებულ შვედურ კონსტიტუციისა. ამათ უნდა მოდურ კონსტიტუციისა. ამათ უნდა მოეხსენებინათ მის უდიდებულესობისთვის ფინეთის ერის სურვილებისა და მოთხოვნილების შესახებ.[1]) ეს არის პირველი იურიდიული საბუთი, რომელსაც მოჰყვება მეორე უფრო დიდმნიშვნელოვანი და რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ქ. **ბორგოში** შეიკრიბა **სეიმი**, 1809 წლის 15/27 მარტს, რომელსაც თვით იმპერატორიც დაესწრო და დაჰპირდა ყველა იმ **უფლებათა და პრივილეგიეთა** შენახვას, რომლითაც აღჭურვილნი იყვნენ ძველ, შვედურ კონსტიტუციის ძალით. ქ. ბორგოს სეიმის კრება მრავალმნიშვნელოვანი იყო, რადგან ამ კრებაზე წამოყენებული და მიღებული იყო დიდი სახელმწიფო საკითხები, როგორც მაგალითად:

1) ორგანიზაცია ფინეთის შინაგანი მართველობისა, ანუ უმართებულესს **საბჭოს** დაარსებისა:[2]); 2) გადასახადები და ფინანსები; 3) სამხედრო ბეგარა და 4) ფულის სისტემა ფინეთში.

ფინეთისათვის ფრიად სასარგებლო სეიმის დადგენილებანი ამ ორხ უმთავრეს საკითხებში ხელმწიფე-იმპერატორმა შეიწყნარა და განამტკიცა საგანგებო მანიფესტებით, რაც შემდეგაც უმწიკვლოდ იქმნა დაცული და იმპერატორ ალექსანდრე მეორის მიერ კვლავ განმტკიცებულ-გაფართოებული. აი ის ორი ისტორიული საბუთი, რომელზედაც ემყარებიან ყველა გამოჩენილნი მკვლევარნი ფინეთის სახელმწიფოებრივ საკითხისა. შესაძლებელია ზოგიერთმა ქართველმა ეს დებულებანი არც ისე დიდად მიიჩნიოს, რადგან მაგის მსგავსსა და უფრო დიდ მნიშვნელოვანსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ცხოვრებაში 1783 წელს, როდესაც რუსეთ-საქართველოს შორის დადებულ იქმნა „მეგობრული ხელშეკრულება“ და, რომლის შინაარსიც დაცულ იქმნა მხოლოდ 1801 წლამდის!... ასე მოხდა ბედკრულს საქართველოში, მაგრამ თითქმის იმავე პერიოდში სულ სხვანაირად მოქმედებენ იგივე პირნი, როდესაც საქმე ფინეთზე მიდგებოდა! როგორც მოგახსენეთ, ყველა დანაპირები გატარებულ იქნა ცხოვრებაში უკლებრივ და, ზოგიერთ შემთხვევაში, გაფართოვებულიც

ამის შემდეგ შეგვიძლია დაუბრუნდეთ ჩვენ საკითხს: **რომელ კატეგორიის რიცხვს მიეკუთნება ფინეთი?** ამ საკითხის შესახებ, მეცნიერთა შორის არ არის სრული თანხმობა, რადგან ფინეთს სრულიად განსაკუთრებითი ადგილი უჭირავს სხვა სახელმწიფოთა შორის. რუსეთ - ფინეთის ურთიერთობა სრულიად ორიგინალურია!... მაშ რა დაერქმევა იურიდიული ტერმინოლოგიით რუსეთ - ფინეთის ასეთ ურთიერთობას? ამის შესახებ მოვიყვან სხვა და სხვა მეცნიერთა აზრებს: რუსეთის მეცნიერი ბ. **ჩეჩერინი** არჩევს რა ამ საკითხს, ამბობს, რომ რუსეთ-ფინეთის ურთიერთობას ეწოდება **რეალი უნიაო** და ამას ასაბუთებს შემდეგის განმარტებით: „რეალი შეერთება მდგომარეობს იმაში, რომ ტახტი ორივე სახელმწიფოისა გამოცხადებულია შეერთებულად და იმავე დროს თვითოეული მათგანი ინარჩუნებს საკუთარ პოლიტიკურ თვითყოფნას, საკუთარ მართველობას ანუ საკუთარ კონსტიტუციას. ამ საფუძველზე შეუერთდენ რუსეთ ფინეთი 1808 წელს და პოლონეთი 1815 წელსო“. რუს მეცნიერის აზრს მხარს უჭერენ სხვებიც, რომელნიც საკუთარის, სხვა და სხვა შენიშვნებით, მაგრამ, არსებითად ეთანხმებიან და რუსეთ-ფინეთის ურთიერთობაში რეალურ—უნიას ხედავენ. ასეთები არიან: რუსეთის პროფესორები—**რომინოვიჩ-სლავატინსკი და ენგელმანი**; გერმანელთა პროფესორები—**გეფკენი, ბრი** და ფინეთის გამოჩენილი პროფესორი ჰელსინგფორსის უნივერსიტეტისა, სახელოვანი ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ფინეთის სენატისა და „ფინეთის უგვირგვინო კაროლად“ წოდებული **ლეო მეხელინი**. რასაკვირველი, რუსეთ-ფინეთის დამოკიდებულება არ არის სრულ-სახოვანი რეალი უნია მსგავსად ავსტრო-უნგრეთისა და, ამიტომაც, ზემოდასახელებული მეცნიერნი არ აღიარებენ მის ტიპიურობას, არამედ უფრო მსგავსებას ხედვენ ასეთ კატეგორიის სახელმწიფოებთან. მეორე მეცნიერი ფინეთისა პროფესორი ჰელსინგფორსის უნივერსიტეტისა და ყოფილი სახელოვანი სენატორი **რიხ. დანიელსონი** არ ეთანხმება ზემო დასახელებულ მეცნიერთ და იცავს მეორე შეხედულებას, უფრო **დათმობითის ხასიათისას**, როგორც ამას თვითონაც აღიარებს. იგი რუსეთ-ფინეთის დამოკიდებულებაში ჰხედავს არა რეალ—უნიას, არამედ **შეერთებულ სახელმწიფოს**, რომელსაც ასაბუთებს შემდეგის თეორეტიულ განმარტებით: „მუდმივ სახელმწიფოთა კავშირები განიყოფებიან ორ უმთავრეს კატეგორიებად: პირველთ ეკუთვნიან ისინი, რომელნიც შეერთების დროს ინარჩუნებენ სრულს დამოუკიდებლობას, ე. ი. სუვერენიტეტს. ასეთი არის რიალი—უნია ავსტრო-ჰუნგრეთისა და ასეთივე იყო რიალი—უნია. სვერიგეთ-ნორვეგეთისა. ხოლო მეორეს ეკუთვნიან ის კავშირები, რომელთა შემადგენლობაში ერთი დამოუკიდებული სუვერენი სახელმწიფოა და მეორეს მხრივ არა სუვერინი სახელმწიფონი. ეს კატეგორია თავის მხრივ იყოფა კიდევ ორად: პირველთაგან წარმოდგებიან **სახელმწიფოთა კავშირები**, როგორც მაგალითად: გერმანეთი, სუისეთი (შვეიცარია), ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებული შტატები და სხვანი. ასეთ სახელმწიფოთა კავშირების ნიშანდობლივ თვისებას შეადგენს ის გარემოება, რომ ცალკე სახელმწიფონი რა შეერთდებიან, შეადგენენ სუვერენულ სახლმწიფოს, რომლის უმაღლეს მართველობაშიც ყველა მათგანი მონაწილეობას იღებს. ასე მაგალითად: გერმანეთის შემადგენელ სახელმწიფოთა მთავრობებს ჰყავთ საკუთარი წარმომადგენელი გერმანეთის **კავშირის საბჭოში** და ამასთან ერთათ იმავე შემადგენელ სახელმწიფოთა მცხოვრებნი ირჩევენ წარმომადგენელთ საერთო **რეიხსტაგში**. თუ ყურადღებას არ მიაქცევთ ზოგიერთ არა არსებით განსხვავებებს, იგივეს დავინახავთ სუისეთშიც და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. მაგრამ, როგორც უკვე ვსთქვით, **სახელმწფო კავშირების** გარდა არის კიდევ მეორე ნაირი დაყოფაც. ასეთებს ეკუთვნიან კავშირები, რომლებშიც **შეერთებული სახელმწიფოები**, მსგავსად სახელმწიფოთა კავშირისა, შეადგენენ ერთად სუვერენულ სახელმწიფოს, მაგრამ მათში სუვერენული ძალა-უფლება ეკუთვნის ერთ სახელმწიფოს. ასეთი ტიპი სახელმწიფოთა კავშირებისა ფეოდალიზმის ხანაში ხშირი მოვლენა იყო, ხოლო დღევანდელ დროს კი მართლა მეტად იშვიათი შეიქნა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს მის არსებობის შეუძლებლობას ყოველ დროს. რომელ ამ კატეგორიათა სახელმწიფოებს ეკუთვნის რუსეთ—ფინეთი? როგორც ვნახეთ, განაგრძობს იგივე ავტორი, რეალ-უნიას ვერ უდგებიან, იმ აზრით, რასაკვირველია, როგორც მე მ ქვს განმარტებული; რაც შეეხება სახელმწიფოთა კავშირებს, იმათთან სულ არავითარი მსგავსება არა აქვთ. რუსეთ-ფინეთის ურთიერთობა მეტად მოგვაგონებს იმ ფორმას, რომელზედაც უკანასკნელად მქონდა ლაპარაკი, ე. ი. როდესაც სახელმწიფოთა კავშირებში სუვერენია, მხოლოდ ერთი მათგანი, თუმცა, ასეთ შემთხვევებში, მართალია, სუვერენულ და არა სუვერენულ სახელმწიფოებს ჰყავთ საკუთარი მონარქები, რას ც. რუსეთ-ფინეთის ურთიერთობაში ვერ ვხედავთ. რუსეთის იმპერატორი ამავე დროს არის დიდი მთავარი ფინეთისა და ისიც მართალია, რომ ეს განსხვავება სინამდვილეში დიდი მნიშვნელოვანია, მაგრამ იურიდიული თვალსაზრისით ამას პრინციპიალური მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომ, ზემო-ნათქვამის მიხედვით იმ აზრისა ვარ, რომ **რუსეთის იმპერია და ფინეთის სამთავრო ერთად შეადგენენ შეერთებულ სახელმწ ფოს**, სადაც სუვერენული ძალა ეკუთვნის მხოლოდ იმპერიას“ [3]) ასეთია პროფესორ დანიელსონის აზრი ამ საკითხის შესახებ. საკითხი მეტად რთულია, რადგან თვით საფუძველი ფინეთის დამოუკიდებლობისა სადაო და საკამათოა. ამიტომ ბევრს აღარ გავაგრძელებ და დავკმაყოფილდები ამ მცირე დასურათებით, მით უმეტეს, რომ ჩვენთვის იმდენად საინტერესო არ არის, მგონია, თუ რომელი ამ დასახელებულ მეცნიერთაგანია მართალი, არამედ ის **ფარგალი**, რომელშიც მოქცეულია მეცნიერთა კამათი ამ საგნის შესახებ. მაშ ამ მცირედით დავკმაყოფილდეთ და გადავიდეთ შემდეგ უფრო პრაქტიკულ და საყურადღებო საკითხზე!

დ. ჩიქოვანი

(შემდეგი იქნება)

---

[1]) იხილეთ წიგნი ყოფილ სენატორისა და ჰელსინგფორსის უნივერსიტეტის მცხოვან პროფესორის **რიხ. დანიელსონისა**: Соединеніе Финляндіи съ Россійскою державою. Борго, 1890 г.

[2]) 1816 წლიდან, უმაღლეს მანიფესტის ძალით უმართებულესი **საბჭო** იწოდება დღევანდლამდის საიმპერატორო ფინეთის **სენატად**.

დ. ჩ.

[3]) იხილეთ **რიხ. დანიელსონის** წიგნი: Внутренняя самостоятельность Финляндіи. Борго, 1892 г. დ. ჩ.

ფერდინანდი ვენაში წავიდა, სადაც სამხედრო თათბირს დაესწრება.

—

აღმოსავლეთის ფრონტზე ერთად ერთი ჯარის მთავარსარდალი ჰინდენბურგია. მისი სახელი დიდის ავტორიტეტით არის შემოსილი. მის სიტყვას და ბრძანებას ვერავინ ვერ უმხედრდება და ვერც კრიტიკას უწევს.

—

ათინიდან იტყობინებიან საბერძნეთის გენერალურ შტაბის ახალ უფროსის დანიშვნა იმის მომასწავებელია, რომ საბერძნეთში მეტად საყურადღებო ამბები დაიწყებათ.

—

უკანასკნელ მინისტრთა კრებაზე სანინომ განაცხადა: მოკავშირე სახელმწიფოთა ელჩებმა გააფრთხილეს საბერძნეთის მეფე, რომ პასუხს აგებს თვით მეფე, უკეთუ გენერალ სარაილის ოპერაციას რამე წინააღმდეგობა გაუწიესო.

—

ბარ. სონნინომ იტალიის მინისტრთა საბჭოში განაცხადა, რომ შეთანხმების სახელმწიფოები საბოლოოდ მორიგდნენ ოსმალეთის განაწილების საკითხზე.

—

ფელდმარშალ ჰინდენბურგის დანიშნვა საველე შტაბის უფროსად ფაქტიურად გენერალისიმუსად დანიშვნას უდრის. ეს დანიშნვა ფაქტიურად იმპერატორის მთავარსარდლობიდან გადადგომის შედეგია. პარიზში ამ გარემოებას ისე უცქერიან როგორც გერმანეთის უკანასკნელ ცდას შეუძლებელს მიაღწიონ.

—

ტოკიოში დამთავრდა მოლაპარაკება რუსეთის ხაზინასთან 70 მილიონის ექვს პროცენტიანი სესხის გამოშვებაზე, ერთი წლის ვადით.

# ჯარში გაწვევა

უმაღლესად გამოცხადდა პირველ ჯერისა (წითელ-ბილეთიანთა) და მეორე ჯერისა (ლურჯ ბილეთიანთა) მოლაშქრეთა გაწვევა შემდეგის წესით:

**პირველ ჯერის მოლაშქრენი**

გაწვეულ არიან შემდეგის წლებისა: 1916, 1915, 1914, 1913, 1912, 1911, 1910, 1909, 1908, 1907, 1906, 1905, 1904, 1903, 1902, 1901, 1900, 1899 და 1898.

ყველა ეს პირი უნდა გამოცხადდეს სამხედრო უფროსთან შემდეგ ვადაზე: მცხოვრებნი ქ. თბილისის 1, 2, 3 და 4 საპოლიციო უბნებისა—კვირას 28 მარიამობისთვეს. მცხოვრებნი: 5, 6, 7 და 8 საპოლიციო უბნებისა, ორშაბათს 29 მარიამობისთვეს, ხოლო მცხოვრებნი 9, 10, 11 და 12 საპოლიციო უბნისა—სამშაბათს 30 მარიამობისთვეს.

ყველა ამათ თან უნდა ჰქონდეთ მოწმობა (ополченекіе билеты), ხოლო ვისაც ეს მოწმობა არა აქვს საცხოვრებელი საბუთი ან რამე პიროვნების მოწმობა.

ყველა დაწესებულება მოვალეა დაუყოვნებლივ გაუსწორონ ანგარიში ჯარში გაწვეულთ.

**მეორე ჯერის მოლაშქრენი.**

გაწვეულ არიან შემდეგ წლებისა: 1916, 1915, 1914, 1913, 1912, 1911 და 1910.

ყველა ეს პირი უნდა გამოცხადდეს სამხედრო უფროსთან შემდეგ ვადაზე: მცხოვრებნი ქ. თბილისში 1, 2 და 3 უბნებისა—სამშაბათს 7 ენკენისთვეს, მცხოვრებნი—4, 5 და 6 საპ. უბნებისა—ხუთშაბათს 8 ენკენისთვეს, მცხოვრებნი 7 და 8 საპ. უბნებისა—პარასკევს 9 ენკენისთვეს, ხოლო მცხოვრებნი 11 და 12 საპ. უბნებისა, კვირას 11 ენკენისთვეს.

ყველა ამათ თან უნდა ჰქონდეთ მოწმობა სამხედრო ბეგრის მოხდის შესახებ ან სხვა რამ საპიროვნო მოწმობა.

ყველა დაწესებულება მოვალეა დაუყოვნებლივ გაუსწორონ ანგარიში ჯარში გაწვეულთ.

მობილიზაციის პირველი დღედ დანიშნულია 25 მარიამობისთვეს.

# ახალი ამბავი

◆ **ჭანეთის გასაჭირი.** ბათომის რაიონული განყოფილება ქართ. საქვ. მოქმ. საზოგადოებისა აცნობებს მთავარ გამგეობას, რომ ჭანეთი მეტისმეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფება. დახმარება ფართედ ვერ არის მოწყობილი და ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის. გამგეობას გაუთვალისწინებია მათი უმწეო მდგომარეობა და საჭიროდ უცვნია თუ უსასყიდლოთ არა შეღავათიან ფასებში მაინც მიაწოდოს გაჭირვებულ ხალხს პირველ საჭიროების საგნები. განყოფილება მთავარ გამგეობას უგზავნის ფრიად საგულისხმო მოხსენებას ჰაიდარ-ბეგ აბაშიძისას, რომელსაც ხვალინდელ ნომერში მოვათავსებთ. მას ჭანეთის მდგომარეობის ადგილობრივ გამოკვლევა ჰქონდა მინდობილი. მთავარ გამგეობას სთხოვს იშუამდგომლოს მეფის ნაცვლის კანცელარიის წინაშე, რომ მიეცეთ თანხა ჭანების დასახმარებლად და თუ ეს არ მოხერხდება, იმ შემთხვევაში ბათომის განყოფილების გამგეობა სთხოვს მთავარ გამგეობას რაიმე თანხას საოპერაციოთ სიმინდისა და სხვა პირველ საჭიროების საწყობების გასამართავად, ვინაიდან გამგეობის აზრით ესეთ საწყობების გახსნა მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჭანებისათვის. როგორც ვიცით, დღემდის მთავარ გამგეობას 2 ათასი მანეთი აქვს გაგზავნილი ჭანების დასახმარებლად ბათომის განყოფილების სახელზე.

◆ **მინისტრის ამხანაგის მოსვლა.** თბილისში ჩამოვიდა იუსტიციის მინისტრის ამხანაგი, სენატორი ილიაშენკო. გუშინ, ნაშუადღევის 1 საათზე, სენატორმა დაათვალიერა სამოსამართლო პალატის დაწესებულება, სადაც მას წარუდგნენ ამ უწყების მოსამსახურენი.

◆ **დახმარება ქუთაისის გუბერნიას.** საიმპერიო თანხიდან ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებაში გადაეცა 250 ათასი მანეთი მოუსავლობისაგან დაზარალებულთათვის სესხის სახით.

◆ **ილიას ნივთები.** წერა-კითხვის საზოგადოების მდივანმა ბ-ნ ბურჯანაძემ საგურამოდან ჩამოიტანა დროშა ქართველ მწერლებისაგან მირთმეული ილიობას 20 მკათათვეს 1890 წელს. დროშა მეტად ძვირფასად არის ნაქარგი ალისფერ ატლასზე ოქრომკედით გ. ქუმარატიშვილის მიერ. დროშის ცალმხარეზე ამოქარგულია განსვენებულის ლექსიდან შემდეგი ტაეპი: „კაცი უნდა კაცად იყვეს სანთელსავით თვით დაიწვას და სხვას კი გზას უნათებდეს." პოეტის ავტოგრაფიით, კალმით და სამელნით. მეორე გვერდზე ინიციალებია ილიას გვარი და სახელისა. დროშას ვერცხლის ჯვრისტონი აქვს შემკული მწერლების გვარებით. გარდა დროშისა ბურჯანაძემ ჩამოიტანა ჩიბუხი და სანადირო სამგზავრო სკამი განსვენებულისა. ყველა ეს ნივთები წ. კ. მუზეუმს გადაეცა დასაცავად.

◆ **საგურამოს მამული.** დაბრუნდა თბილისში წერა-კითხვის საზოგ. მდივანი საგურამოდან, რომელსაც უკვე ჩაუბარებია ილიასეული მამული და ინვენტარი ქართულ სასოფლო სამეურნეო საზ. წარმომადგენლის ბ-ნ მაღალაშვილისთვის.

◆ **თელავის წ.-კ. განყოფილების** გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავარ გამგეობის წინაშე ომისა და სიძვირის გამო დაეხმაროს ჯამაგირების მომატებაში განყოფილების სკოლის გამგეს და ორ მასწავლებელს, რომელნიც ფრიად მცირე სასყიდელს იღებენ.

◆ **თუშების ამხანაგობა.** თიანეთის მაზრის თუშებმა რიცხვით 2 ათას კომლმა შეადგინეს შემნახველ გამსესხებელი ამხანაგობა 60 ათას მანეთის მოძრავი თანხით. ამხანაგობას მიზნად აქვს დასახული თვის ნაწარმოებნი, მატყლი, ყველი და სხ. პირველ ხელში გაყიდოს. ამ მიზნით უკვე გაემგზავრნენ პეტროგრადში წარმომადგენელნი თუშებისა 1916 წლის ნაპარს მატყლის გასასყიდათ პირველ ხელში.

◆ **ხოლერა.** 21 მარიამობისთვეს ხოლერიანთა საავადმყოფოში ირიცხებოდა 60 სული ხოლერიანი, საეჭვო 11. გარდაიცვალა 4. 22 მარიამობისთვეს ხოლერიანი ავადმყოფი იყო 61, საეჭვო 11.

◆ **ვაჭრების გადასახლება.** კავკასიის სამხედრო უფროსის განკარგულებით შაქრის დამალვისათვის და ფასების აწევისათვის, საომარ წესების მოხსნამდე კავკასიაში ცხოვრების უფლება აეკრძალათ 5 ცნობილ მანგლისელ ვაჭარს.

◆ **ახალი სკოლა.** 1 ენკენისთვიდან თიანეთში იხსნება პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი. სკოლის გამგეთ მიწვეულია ივ. სირაძე.

◆ **სამოსწავლო ოლქის მზრუნველს** წარუდგა ხაშურის გიმნაზიის დირექტორი ალ. ბ. მდივანი და ქალების გიმნაზიის შენობის აგებაზე მოხსენება წარუდგინა.

◆ **წერა კითხვის გამგეობის სხდომა** დღესაა დანიშნული, მასწავლებლების დასანიშნად თვის სკოლებში.

◆ **სომეხთა კათალიკოსმა** წინადადება მისცა ეპარქიის ეპისკოპოზ მესროფს იშუამდგომლოს სომეხთა სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ჯარში გაწვევისაგან გასანთავისუფლებლად.

◆ **საქონლის ჯიშის გაუმჯობესება.** შესდგა ამხანაგობა, რომელსაც მიზნადა აქვს თიანეთის მაზრაში საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლად, ნამეტნავ თუშ-ფშავ-ხევსურეთის საქონლისა. ამ მიზნით ამხანაგობა უკვე იძენს თიანეთის მაზრის შუაგულ ალაგას დიდ მამულს.

◆ **გერმანელთა მიწები.** მთელ თბილისის გუბერნიაში იმ მიწების რაოდენობა, რომელიც გერმანელთ ეკუთვნით და სალიკვიდაციოთაა დანიშნული, უდრის 35 ათას დესეტინას, ხოლო თბილისის მაზრაში 8 ათას დესეტინას.

◆ **მასწავლებელთა კურსები.** 1 ენკენისთვიდან ქალაქის მეოთხე პირველ დაწყებით სასწავლებელთან უნდა გაიხსნას უფასო მუდმივი ორ წლიანი საპედაგოგიო კურსები. კურსებზე 20 მსმენელზე მეტი არ მიიღება ჯერ ჯერობით. გარდა უფასო სწავლისა მსმენელთ მიეცემათ ფულით დახმარება არა უმეტეს 100 მანეთისა და სახელმძღვანელოები. კურსებში 4 კლასის სწავლა დამთავრებულნი და პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებლის მოწმობით მიიღებიან.

◆ **სახალხო განათლების** სამინისტრომ აცნობა თბ. გუბერნიის მასწავლებელთა ერთ-ურთ დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარეს ვ. ბურჯანაძეს, რომ 5 წლოვანობის ნამსახურობის კრედიტი უკვე გადაეცა სახალხო სკოლების დირექტორებს მასწავლებელთა დასაკმაყოფილებლად.

◆ **„ახალ კლუბში".** ხვალ 23 მარიამობისთვეს ახალ კლუბში დანიშნულია ცნობილ დირიჟერ-სოლისტ მ. ა. ვოლფ-იზრაელის ბენეფისი ფრიად საგულისხმიერო პროგრამით.

◆ **ტყის ექსპლოაცაცია.** თელავის მაზრის ტყეების დაუნდობელ გაჩეხის ასალაგმათ და სწორ ექსპლოატაციის საწარმოებლად შესდგა ინტელიგენტ ძალების ამხანაგობა, რომელიც საქმის ორგანიზაციას შეუდგა.

◆ **გადასადებ სენიანთა** საავადმყოფოში, 22 მარიამობისთვეს, ირიცხებოდნენ ქუნთრუშიანი 41, დიფტერიტით 6, ყვავილით 5, სახადით 96 და მუცელით 9.

**შემოქმედი** (გურია)

აქ თხილის ფასმა დაიკლო, თხილს, რომელსაც წელლობაში 5 მანეთ და ორ აბაზად ყიდულობდენ, ეხლა ჩარჩები ხმელს თხილს ხუთ მანეთად ძლივს შოულობენ.

— აქაურმა მცხოვრებმა ალექსანდრე ხვინგიამ თავისი ძმის ლავრენტის სახსოვრად შესწირა 250 მან. უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის ასაშენებლად და 25 მანეთი შემოქმედის წიგნთ-საცავ სამკითხველოს.

— აქ და მახლობელ სოფლებში შინაურ ფრინველების ჭირი გაჩნდა. ზომები მიღებულია.

**დ. ჩოხატაური.**

როგორც ს. ხიდისთავიდან გვატყობინებენ, ადგილობრივი თეატრის შენობა კერძო მესაკუთრისაგან წ.-კ. გ. საზ. იქაურმა განყოფილებამ შეისყიდა.

— იქვე უმაღლეს პირველდაწყებით სკოლის გახსნა სექტემბრის შუა რიცხვებისთვისაა განზრახული.

— ჩოხატაურის უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელში მისაღები და გადასასვლელი გამოცდები ამ თვის ბოლო რიცხვებში მოხდება.

— ამ თვის 9-ს ჩოხატაურში და ხიდისთავში ახალგაზრდებისაგან წარმოდგენილ იქმნა: 1) „დაჭრილი ორბი", 2) „დედა და შვილი", 3) „შეშლილის წერილები" და 4) „დავა".

# ყმაწვილის გატაცება და ყაჩაღის მოკვლა

16 მარიამობისთვეს, შუადღის 12 საათზე, სოფ. გურჯაანის ბოლოდან ცნობილ ყაჩაღის სესიაშვილის ბრბოს ორმა წევრმა გაიტაცა გურჯაანის მცხოვრებელ მდიდარ გლეხის ილია ბეჟიტაშვილის (ლონელას ბიჭის) უფროსი ვაჟი იოსები, 15 წლისა. ყაჩაღთ თავიდანვე ეთვალთვალათ ყმაწვილისათვის სოფლის ბაზარშივე. ყმაწვილი შემჯდარიყო ცხენზედ და გამგზავრებულიყო საქონლის დასათვალიერებლად. როდესაც ყმაწვილი ჩასულიყო საქონლის ბინაზედ და შეერთებოდა მეძროხე ბიჭებს, ყაჩაღნი მიხდომოდნენ, ეკითხათ „რომელია ლონელას ბიჭიო"—წაევლოთ ხელი და წაეყვანათ ველისციხისკენ. შუა გზიდან ცხენი გამოეშვათ და თვითონ გაეწიათ ს. ურიათუბნის მთისკენ. სოფელმა და თვით პოლიციამ მხოლოდ ხალამოს 5 საათზედ გაიგო მომხდარი უბედურება. მშობლების წივილ-კივილს და ტირილს საზღვარი არ ჰქონდა. ცოცხალ-მოკიდებული დედა ძლივს დაიჭირეს: მიიწევდა შვილისაკენ—„მეც იმასთან უნდა მოვკვდეო".

იმავ საღამოს ადგილობრივი ბოქაული თავ. ივ. ზ. ვაჩნაძე ათის სტრაჟნიკით დაედევნა ყაჩაღებს. მეორე დღეს გატაცებულ ყმაწვილის მშობლებს მოუვიდათ წერილი ყაჩაღებისაგან მათი შვილის ხელითვე დაწერილი—სთხოვდნენ 20,000 მან. მის განსათავისუფლებლად.

ბოქაული 18 მარიამობისთვის დილამდე დაეძებდა ყაჩაღთა კვალს და მთხრობელს. ბოლოს 18 მარიამობისთვეს დილის 7 საათზე დაიჭირა სოფ. ურიათუბნის ბოლოს ერთი ყაჩაღთა „აგენტი". დიდი დავიდარაბის შემდეგ ბოქაულმა, როგორც იყო გამოსტეხა „აგენტი", და ათქმევინა ყაჩაღთა შესახებ ყველაფერი და გზის მაჩვენებლად წინ გაიძღოლა.

ბოქაულის სიტყვით, მათ წინ გზა და გზა ხვდებოდნენ გლეხ-კაცები სხვა და სხვა სანოვაგით დატვირთულნი, რასაკვირველია, ყაჩაღთათვის, იმ დავიდარაბაში მათთვის დრო არვის ჰქონდა.

დილის 10 საათზე მიეგნოთ ბოქაულს სტრაჟნიკებით ყაჩაღთა ბუნაგისათვის. მიჰპაროდენ ცოცვით დაახლოვებით 60 საჟენზე. ერთ ყაჩაღს შეემჩნევა იგინი და შეეყვირა: „ვინა ხართო მანდ"-ო? — ბოქაულს საპასუხოთ „ზალპის" მიცემა ებრძანებინა. ყაჩაღთ ეპასუხნათ. სროლამ 10 წუთს გასტანა. სროლის დროს ერთ ყაჩაღს შეეღრიალა მომაკვდავის ხმით, შემდეგ მომწყდარიყო ხმაც და სროლაც. როდესაც მიახლოვებულიყვნენ ენახათ—5 შინელი, 1 მაუზერის სისტემის რევოლვერი მრავალი პატრონით, გაზეთები „სახალხო ფურცელი", „ტიფლ. ლისტ", ქვაბი, ჭურჭელი, დაბმული ცხვარი, „ერლიხის სპრინცოვკები", რაიც ამოწმებს ვენერიულ ავადმყოფობას ყაჩაღებისას, სხვა და სხვა სანოვაგე და ღვინო. სხვათა შორის მიჰყოლოდნენ სისხლის კვალს და კლდეზედ დაკიდებული სასიკვდილოდ დაჭრილი ყაჩაღი დაენახათ,— როგორც იყო ჩამოეღოთ და ჩაეტანათ სოფ. ურიათუბანში უკვე მკვდარი. მოკლულის ვინაობა გამოურკვეველი დარჩა, მხოლოდ ადგილობრივ წინანდლის ბოქაულის ი. ახვლედიანის და მის სტრაჟნიკების სიტყვით—ცნობილი ყაჩაღი ნიკა მეზვრიშვილიაო. სხვანი კი ამბობენ, რომ გურჯაანელი ნიკა იმერლიშვილია.

სულ ყაჩაღები ოთხნი ყოფილან—ცნობილნი „ჟორჟიკა", სესიაშვილი, ილია შანათიშვილი და მოკლული ნიკა იმერლიშვილი თუ მეზვრიშვილი.

ყმაწვილი იმ სროლაში გამოქცეულიყო და შინ უვნებლად დაბრუნდა. ბოქაულმა თავ. ივ. ვაჩნაძემ ჩაბარა მოკლული ადგილობრივ ბოქაულს ახვლედიანს. მიასწავლა გზები, საითაც გაიქცნენ გადარჩენილნი ყაჩაღები და უვნებლათ დაბრუნდა თავის საბოქაულოში სოფ. გურჯაანს. მეორე დღეს ბოქ. ივ. ვაჩნაძემ მიიღო უფროსისაგან მხურვალე მადლობა, მართლადაც ამ იშვიათ საქმისათვის, რომ უვნებლათ წაერთვათ ყაჩაღთათვის ტყვე.

**გიკალი**

# თბ. ქართველ სამღვდელოების საყურადღებოდ

ვოლჟინის თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, დღე არ გასულა, რომ ჩვენს გაზეთებში არ დასტამბულიყოს რამე წერილი თბილისის სამღვდელოების მიმართ სამდურავით მიმართული. ყველანი უკიჟინებენ, ლანძღვენ, მიწასთან ასწორებენ საზოგადოთ სამღვდელოებას და უფრო განსაკუთრებით თბილისისას, რადგან ამ უკანასკნელათ ვერ გამოიჩინეს დროს შესაფერი სიფხიზლე და გამბედაობა ესარგებლნათ მარჯვე მომენტით და განეცხადებინა ვოლჟინისთვის მთელი საქართველოს დაუცხრომელი სურვილი შესახებ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა.

ვინ იტყვის, რომ თბილ. ქართველ სამღვდელოებას მიეტევებოდეს ენაზედ კბილის დადგმა და ღირსი არ იყოს იმ შეგინებისა, როგორც მან მიიღო; თუ იგი რითმე გაიმართლებს თავს საზოგადოების და თავის მოძმეთა წინაშე, ანუ შეუმსუბუქებს დანაშაულს, მარტო მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ვოლჟინის ჩამოსვლა თბილისში მოულოდნელად მოხდა, შეიძლება ეს ასე განგებაც იყო მოწყობილი, ამიტომ ვერ მოასწრო თბილ. სამღვდელოებამ წინასწარ მოსაზრებული, მიზან შეწონილი გეგმით შეხვედროდა მას და თანაც უმთავრესი ნაწილი ქართ. სამღვდელოებისა, უფრო მოწინავე და შეგნებული ელემენტი, ამ დროს თბილისიდან პროვინციებში იყო საზაფხულოდ გაკრეფილი.

ყოველ შემთხვევაში საქმე ჯერ კიდევ დაგვიანებული არ არის, თუ რომ თბ. სამღვდელოება ამ მოკლე ხანში ამოიღებს ხმას და თუ მოწინაობა ვერ გაუწია, მხარს მაინც დაუჭერს პროვინციის სამღვდელოებას.

ჩვენის აზრით თბილისის ქართველ სამღვდელოებამ თავის სურვილი და მოთხოვნილება ავტოკეფალიის შესახებ უნდა განაცხადოს თბილისში არსებული „სიონის ღვთის-მშობლის ძმობის" სახელით, რომლის კრებაც უეჭველად მოწვეულ უნდა იქმნას არა უგვიანეს დამდეგ ენკენისთვის პირველ რიცხვებისა; ვასახელებ „ძმობის" კრებას და არა თბ. ქართ. საბლაღოჩინოებისას, რადგან „ძმობის" წევრებად ითვლებიან ყველა თბილისში მსახური ქართველი მღვდელ-მსახური, რომელთაგანაც ზოგი რუსულ საბლაღოჩინოს არის მიწერილი და, თანაც გარდა სამღვდელოებისა, მის წევრ-გამგეობაში შედიან და კრებაზედ ესწრობიან ხოლმე ადგილობრივი ქართველი არქიმანდრიტები და ეპისკოპოსნი. რა თქმა უნდა „ძმობა"-ს დადგენილება უფრო მძლავრი და ავტორიტეტული იქნება და ვისგანც ჯერ არს მეტს ყურადღებას მიიქცევს ანგარიშის გასაწევად, ვიდრე სამღვდელოების დადგენილებანი, გინდაც რომ ორივე თბ. ქარ. საბლაღოჩინოს კრება ერთად შესდგეს და გაბედოს რამე ხმის ამოღება, რაშიაც ჩვენ ვგვიანობთ.

ყველა ეს კარგი, მაგრამ ამისთანა შემთხვევებში გაჭირდება ხოლმე „კატის ეჟვნის შებმა" (რადგან, ხომ მოგეხსენებათ, მალე ვიცით ხოლმე სოლოებში შეძრომა) ე. ი. ვინ უნდა ითავოს და იკისროს აქტიური მოქმედება, რომ ამ მოკლე ხანში მოწვეულ იქმნას. „სიონის ღვთის-მშობლის ძმობის" კრება და ამ კრებაზედ გაბედულად წამოყენებულ იქმნას ქართ. ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი?

ამნაირი აქტიური მეთაურობა ზნეობრივადაც და, თუ შეიძლება ასე ითქვას, იძულებითაც ვალდებულნი არიან იკისრონ იმ მამათ, რომელნიც ამ ათის წლის წინად მთელი საქართველოს სამღვდელოების კრებას სათავეში მოექცნენ, რომელთაც ეხლაც ამნაირი წარსული თავისი ღვაწლით თავი მოაქვთ, რომელნიც, ერთი კორესპონდენტის შენიშვნისა არ იყოს „ავტოკეფალიის" ძახილით, სადაც არ უნდა, ყველას ყურებს უჭედავენ, იბღვირებიან, იბლინძებიან, სამშობლოს და ქართ. ეკლესიის ერთგულებაში თვის სწორად თავიანთ მოძმეთა შორის არავის სთვლიან და სხ...

ამნაირი „ავტოკეფალიის მეთაურობაში შენიშნული" მამანი ამ ჟამად საკმაოდ არიან თბილისში მოგროვილნი, ზოგი თუ ძველთაგანნი, ზოგნიც პროვინციიდგან გადმოცოცებულნი ან თანაც, ღვთისა და ხელმწიფის წყალობით კარგათ აღმატებულნი და წარჩინებულნი.

საბედნიეროდ, თუ საუბედუროდ მომატებულ ნაწილს საზოგადოებისას ჯერ-კიდევ მათდამი ნდობა არ დაუკარგავთ და უფრო მათგან მოელიან მეთაურობას და საქმიანობას. არ უნდა დავივიწყოთ ამ მამათა, რომ როცა ისინი ზემორე მოხსენებული სამღვდელოების კრებების დროს ბრძანდებოდნენ, „ტახტზედ დიდებისაზედ" და მსჯავრობდნენ, „წყევა-შეჩვენებით" დაემუქრნენ ყველა იმაზე, ვინც ოდესმე უღალატებდა ავტოკეფალიის იდეიის განხორციელებას და აი ეხლა დადგა მარჯვე ჟამი გამოცდისა ამ „მოწინავე მამათა" გულწრფელობისა და თუ ეხლაც მათ საქმით არ გვიჩვენეს „ნამდვილი სახე თვისი", ამნაირი „სიტყვით მრავალნი მხოლოდ საქმით უქონარნი" თვალთმაქცნი მამანი უპირველეს და უმეტესად ყოვლისა, ღირსნი იქნებიან შეჩვენებისა „მოღალატედ, ორგულად და ფარისევლად" წოდებისა.

**დ. ხველიანი.**

# ჩვენი შეკითხვა *)

თელავის შემნახველ - გამსესხებელ ამხანაგობაში არა ჩვეულებრივი ამბები ხდება: დღემდე დაწვრილებით რევიზია მომხდარი არ არის.

31 ივლისისა და 6 აგვისტოს კრებებზე რამდენიმე შეზარხოშებული, წინასწარ განზრახ ჩაგონებული პირი არავის აძლევდა ნებას საქმე გაერკვია: ყვირილი, ჟურ-ხაური, ლანძღვა-გინება,—აი რა ახასიათებდა მაშინდელ კრებებს.

ჩვენ ერთი ნაწილი ამხანაგობის წევრთა მოკლებულნი ვიყავით საშუალებას, წლიური ანგარიშის განხილვის დროს ჩვენი შენიშვნები შეგვეტანა, ვინაიდგან კრებას განსახილველად მიაღებინეს ანგარიში, იძულებულნი ვართ პრესის საშუალებით მოვითხოვოთ პასუხი ჯერ-ჯერობით შემდეგ კითხვებზე:

1. 1915 წლის თიბათვეში ამხანაგობამ განიზრახა შეეძინა საკუთარი სახლი სუხადოლსკისაგან. სუხადოლსკიმ დეპეშით შემოთვალა, რომ სახლს იძლევა 28.000 მან. ბანკის ვალითურთ. ანგარიშებიდან კი სჩანს, რომ ბ. ლუკაშვილმა სუხადოლსკის სახლის საფასური ჩააბარა 30.000 მან. სახლის შესახებ ანგარიშებში მრავალი გაუგებარი და ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობებია, ნაწილი იმათგანი უკვე რაღასაც თუ ვიღაცას ჩაუყლაპავს. რაც შეეხება „კუპჩას", ისიც საბუთად არ გამოდგება. ჩვენ გვინდა გამოვარკვიოთ სად გაჰქრა ზედმეტი 2000 მ.

2. ბ. ლუკაშვილი სხვა და სხვა კერძო საქმეებს აწარმოებს, მაგლ. იგი სუხადოლსკის მოურავათ არის, აქვს აგრეთვე საკამისიო დამოკიდებულებანი კერძო პირებთან, მაგ. ტრიფონ ლამბაშიძესთან. როგორც საქმეებიდან სჩანს სუხადოლსკისთან და აგრეთვე ტრიფონ ლამბაშიძესთან და კიდევ სხვებთან დეპეშები და მიწერ-მოწერა ამხანაგობის ხარჯით უწარმოებია. ჩვენ ვეკითხებით: რა უფლებით ურევდა ბ. ლუკაშვილი სხვის ჯიბეში ხელებს საკუთარ საქმეების მოსაწყობად?

3. ამხანაგობამ შეიძინა ორი ვაგონი შაქარი. დუბლიკატები № 032310 და 004661 მივიღეთ. მაგრამ ბოლოს გამოირკვა, რომ თებერვალში №032310 ლაღიძის ქარხანას მიჰყიდა ლუკაშვილმა და მეორე № 004661 კი ჯერ დაკარგულია. როგორ ჩაუვარდა ამხანაგობის შაქარი ლაღიძეს?

4. ერთი ვაგონი ამხანაგობის შაბიამანი არხანგელსკიდან თბილისამდე სამხედრო სამინისტროს „ნარიადით" მოსული ლუკაშვილმა კერძო ვაჭარს ნიორაძეს გადმოუტანა. ისიც ძვირი (ფ. 14 მან.) შაბიამანი ამხ. დაუტოვა და იაფი (ფ. 9 მ. 20 კ.) ნიორაძეს გადასცა.

5. თავის არხანგელსკში მოგზაურობის დროს ლუკაშვილმა დახარჯა 3432 მ. 26 კ., აქედან 700 მ. ქრთამები მიეცა ვაგონების დაჩქარებაშიო, ნამდვილად კი ვაგონებს თან ახლდა სრულიად სხვა პირი, რომელმაც განაცხადა, რომ მას არავითარი ქრთამები არ დასჭირებია.

6. ვეკითხებით ბ-ნ ლუკაშვილს: რა უნდოდა ვოლოგდაში იმ დროს, როდესაც მისი თელავში ყოფნა მეტად საჭირო იყო და როდესაც ლუკაშვილის მოგზაურობა ამხანაგობას დღეში 15 მან. უჯდებოდა.

7. ფქვილ-ხორბალს ყუბანის წვრ. კრედ. კავშირისაგან ვიწერთ. ვიღაა სპეკულიანტი ჩეპელევი? რათა ყიდულობს მისგან ბ. ლუკაშვილი ფქვილ-ხორბალს?

8. როგორ მოხდა, რომ შაბიამანი ღირებული თბილისამდე ხელშეკრულობის ძალით 9 მან. 20 კაპ., ამხანაგობაში იყიდება 17 მან. 40 კ.

9. საზოგადო კრების დადგენილებით ბ. ლუკაშვილს დღიური ერგებოდა 10 მან. რა უფლება ჰქონდა კრების ან გამგეობის დაუკითხავად 15 მან. ხარჯვა დღეში, ხოლო კიდევ ზედმეტი 327 მან. 71 კაპ. კი მიითვისა, რადგანაც ბ. ლუკაშვილმა უნდა იცოდეს, რომ საბჭოს არავითარი უფლება არა ჰქონდა ეს ფული მისთვის ეპატიებინა.

. საზოგადოდ ყოველ ბ. ლუკაშვილის ნაბიჯში გამოსჩანს თვითნებობა და სპეკულიანტობა—ორივე ეს კი საფრთხეს უმზადებს ამხანაგობას.

ჩვენ მოვითხოვთ წამოყენებულ კითხვებზე გარკვეულ და დოკუმენტალურ განმარტებას.

თელავის შემნახვ. გამსესხ. ამხანაგობის წევრნი:

**ივ. კარბელაშვილი, ალ. ვახვახიშვილი, ექ. ხირხელი, ექ. ავალიშვილი, ლ. ვახვახიშვილი.**

*) რედაქცია ამ წერილს ბეჭდავს მის ავტორების პასუხისმგებლობით.

**რედაქცია.**

# მოგზაურობა სვანეთის საზაფხულო მთებში

თიბათვის ბოლო რიცხვებში ჩვეულებრივი სიცხე-პაპანაქება დაიჭირა. სამეგრელოს მდაბლობ ადგილებში ამ დროს ცხოვრება მეტად ძნელია და საშიშიც; ციებ-ცხელებით დაშინებული ხალხი ნელ-ნელა იშლება შავი ზღვის ახლო მდებარე სოფლებიდან და მიდის მაღლა, ჩრდილოეთით მდებარე აგარაკ-იალაღებისაკენ.

ს. ჯვარში (ზუგდიდის მაზრა) წელს 500-მდე მოაგარაკემ მოიყარა თავი.

ეს სოფელი საუკეთესო აგარაკად ითვლება მთელ ზუგდიდის მაზრაში. მშვენიერი მდებარეობა, მსუბუქი, საკმაოდ სალი ჰაერი, მდინარე-ღელეებში კალმახი გამოულეველი დიდ-ძალ მოაგარაკეთ იზიდავს დაბა-ქალაქებიდან.

ჯვარში წელს მოაგარაკეთაგან შესდგა ექსკურსია სვანეთის საბალახო მთებში. ექსკურსიაში შედის თორმეტი კაცი: ორი სტუდენტი, ორიც სემინარიელი, დანარჩენები დაბალ სასწავლებელთა მოწაფეობა. ოთხი, ბარგით დატვირთული ცხენით, ორი გზის მაჩვენებელი, ადგილობრივი მწყემსების წინამძღვრობით გზას გაუდექით.

პირველად გავეშურეთ სვანეთის მთა „ვანში“. გზა მიდის ენგურის ხეობებით. ახლათ გაშენებული ე. წ. სვანეთის ბილიკით გვიხდება სიარული. მხიარულად მივდივართ. ახალ-ახალმა სანახაობამ გაგვიტაცა. მარცხნივ გიჟმაჟი ენგური თავის მტვრევით მიეხეთქება მაღლიდგან დაბლა, თითქო ჩქარა უნდა აცნობოს მთის იმბავი ბარს; მარჯვნივ პაწა მდინარე მოჩუხჩუხებს, თავის ანკარა ზვირთებს ქვაკლდეს ახლის და რძესავით თეთრ ქაფად ქცეულს მორევში ატრიალებს. ამ ორ მდინარის შუა აღმართულ, მწვანით მოსილ გორაკით მივდივართ. ამ გორაკის დასაწყისში, რომელსაც „ომუნეს“ ეძახიან, შევნიშნეთ ციხის ნანგრევები. სიგრძე-სიგანით რამოდენიმე საჟენი ამაყურად გადმოჰყურებს მაღლობიდან ენგურის ხეობას. ზოგან კედლები ჩამტვრეულია; წარწერა ვეღარ ვნახეთ; აქედან ავიწიეთ უფრო მაღლა; გორაკი „წულიში“ ვნახეთ. შევნიშნეთ რკინის რგოლებით შემოსალტული (შემოკრული) კლდის ნაწილი. აქაური მცხოვრებნი ირწმუნებიან: „როცა შავი ზღვა სამეგრელოში იდგა, მაშინ გემების დასაბმელად გაუკეთებიათ ეს რგოლებიო“. გავიარეთ შვიდი ვერსი. შევედით ს. ხუჯონში. ეს სოფელი ჯვარის საზოგადოებაა. აქვს თავისი ეკლესია. ჰყავს საკუთარი მღვდელი. ჩრდილოეთით სოფელს დიდი მანძილი ტყე აკრავს, რომლის შემდეგ სვანების სოფლები იწყება. სამხრეთით ს. ჯვარი შვიდი ვერსის მანძილზეა. სოფელი მოქცეულია მთებ შუა, მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე. სკოლა და სხვა ამ გვარი კულტურული დაწესებულება აქაური მცხოვრებთათვის უცხო ხილია. უნდა ვთქვათ, რომ ამ უკანასკნელ დროში აქაც ძლიერია სწავლის წყურვილი, მაგრამ სიღარიბით შეწუხებულ მცხოვრებლებს ღონე არ შესწევთ სკოლა დაიარსონ. უქრალო წერა-კითხვა რა არის, იმასაც მოკლებულია აქაური გლეხ-კაცის შვილები. მცხოვრებთა მეტი წილი მეჯოგეობას მისდევს, დახარჩენი მიწათმოქმედებით საზრდოობს. სიღარიბე, სიბნელობა ხშირი სტუმარია ადგილობრივ მკვიდრთა. ომიანობის სიძვირეს აქაური გლეხიც მწარედ განიცდის.

კვირა დღეა. ეკლესიის ახლოს ერთ ხის ძირში ჩამოვხტით. ჩვენი ჩამოსვლა მთელმა სოფელმა გაიგო; ყრუდ მიძინებული სოფელი ახმაურდა, გამოიღვიძა. ეკლესიიდან ნელ-ნელა გამოვიდა ხალხი და ჩვენ შემოგვიერთდა. დაღვრემილი სახეები ცნობის მოყვარეობით მოგვაშტერდა. „ბატონო“, გაბედა ერთმა ხნიერმა, სათნო შეხედულების გლეხმა, „როგორც გეტყობათ, თქვენ სწავლულები ბრძანდებით, ქენით მადლი, გვიამბეთ ომიანობის ახალი რამ“.

— ჩემს შვილს ქალაქ №-ში შეტაკების დროს მონაწილეობა მიუღია შემდეგ, ექვსი თვეა არა გაგვიგია რა მისი. ხომ არ იცით მისი რამ“ თვალცრემლიანი ჩივის მეორე.

— ბ-ნო, თქვენ განათლებული ხალხი ბრძანდებით, ბევრი რამე გაგივათ; სოფელი უმწეოთ დარჩენილია, სიმშილობა მოგველის, ბატონო, ღვთის გულისათვის გვიშუამდგომლეთ „ნაჩალნიკთან, რამე მოწყალება მოილოს და სიმშილით არ გაგვწყვიტოს“, გვემუდარებიან სხვები. ჩვენც შეძლებისამებრ დავაკმაყოფილეთ ყველას კითხვა და გზას გაუდექით.

რაც უფრო ვშორდებოდით სოფელს, მით უფრო გვიზიდავდა მრავალ-ფეროვანი ბუნება: მშვენიერი, თვალ-უწვდენელ სიმაღლემდის აშვერილი ვეებერთელა მუხა, წაბლი, ცხემლა და სხვა მრავალ-გვარი ხეები გვხიბლავდა თავისი მედიდური შეხედულებით; ლამაზად ჩამწკრივებული ფიჭვ-ნაძვნარი გვფენდა საამურ სურნელებას. სულ მაღლა-მაღლა ვიწევით, ამიტომ სიცხემ იკლო, სიგრილემ იმატა; ახალ-ახალმა სანახაობამ დაღლილობა დაგვავიწყა. აგერ საღამომაც მოატანა, მზის ვარაყიანმა სხივებმა უკანასკნელად მოუალერსეს მაღალ მთის მწვერვალებს და მოშორდნენ. ახმაურდა მთელი ბუნება. ჩიტების საამური ჟღურტულ-სიმღერა, მწყერების ჭრიჭინ-წრიპინი და ანკარა წყაროს ლიკ-ლიკ-დუდუნი ერთმანეთს ჩაექსოვენ და ჰარმონიული კონცერტი გააბეს. დაბნელდა. ნელმა სიომ დაჰკოცნა ხეების ფოთლები; ერთი ვეებერთელა მუხის ძირში დავიბანაკეთ. აგუზ-გუზებულ ცეცხლს ირგვლივ შემოუსხედით...

მეორე დღეს სახელმწიფო გზა დავტოვეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთით გადავუხვიეთ. მივდივართ ციცაბო ადგილებში. აღმართ-დაღმართში თითო მტკაველი გზაა, კლდის კიდეებზე, ზოგან ქვით ამოქოლილი ხრამები ერთმანეთს სცვლიან. ყოველ წუთში დაღუპვა მოგველის ცხენს და კაცს. ცოტაოდენი წაბორძიკება საკმარისია, რომ თვალ-უწვდენელ სიმაღლიდან ძირს ჩაიჩეხო. აგერ ცხენს ფეხი გადუცდა, გადმობრუნდა და რამოდენიმე საჟენზე ჩაიჩეხა. ცოცხალ-მკვდარი ცხენი ამოვათრიეთ, შევწუხდით. თანდა-თან აცივდა. ჰაერის სიმრატემ და სიგრილემ გაგვახალისა. ბოლოს ნაბდებიც წამოვისხით.

ლაგუჯი.

(დასასრული იქნება)

# დაბა-სოფლები

**ოზურგეთი.** მკათათვის უკანასკნელ რიცხვებში ოზურგეთის მახლობლად ღამით რამოდენიმე პირი დახვდა მეურმეს, რომელსაც ურმით მოჰქონდა ოზურგელი ვაჭრის ვ. ქილიფთარის ფართლეულობა და მეურმეს სცემეს. ღამის რაინდებმა მეურმეს სცემეს იმის გამო, რომ მას მოჰქონდა დარბევის შიშის გამო გადამალული საქონელი. სამწუხაროა, რაიცა ასეთ ძალმომრეობას გურიაში აქვს ადგილი. თუ ვაჭარმა დამარბევ ბრბოს თავის ქონება მოარიდა აქ დასაძრახისი არაფერია და მაშასადამე არც მეურმეს მიუძღვის რაიმე დანაშაული.

—

**იქიდანვე.** ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობამ ერთი ფრიად მოსაწონი საქმე შეასრულა—იყიდა ჭიჭინაძისეული მამული (მიწა და შენობა) ქალაქის თვალსაჩინო ადგილას, რვა ათას მანეთად. მამული ჯერჯერობით დამტკიცდა ვაჭრების ბ.ბ. ალ. გ—ს ძე კალახდაძისა და რუბ. ლ—ძე ჩხაიძის სახელზე, რომლებმაც ქალაქის მაგიერად ჭიჭინაძის მემკვიდრეებმა ფული მისცეს, შემდეგში ქალაქს გადაუმტკიცებენ. ფრიად მოსაწონია, რომ ქალაქს ფხიზელი ვაჭრების მეოხებით ეს ძვირფასი მამული შეეძინა. ქალაქი იქ აპირებს ააგოს თვითმართველობის შენობა.

—

**სოფ. ცემი.** წელს სოფ. ცემს აურებელი მოაგარაკენი მოაწყდნენ. ისე, რომ ოთახი, რაც ღირდა ჩვეულებრივ ზაფხულობით, წელს ერთი-ორად გაძვირდა. მსურველნი ბევრნი იყვნენ და ისე გაქირავდა ყველა სახლები, რომ პატარა კუნჭულებიც კი აღარ დარჩენილა გაუქირავებელი.

აქეთ მხარეს გამოქცეული სომხობა ბევრი იყო, არასოდეს სოფ. ცემს არ შეუფარებია თავის ლამაზ კალთის ქვეშ იმოდენა სომხობა, როგორც წელს.

ზაფხულმა სოფ. ცემში უელფეროდ ჩაიარა. არაფერი არ გამართულა ისეთი, რომ ადამიანის ან სულს, ან გულს ჩასწვდომოდეს. იყო საბავშო დილა ერთხელ, ისიც სახელდახელოდ გამართული. ამ ბოლო დროს კი გამართეს ვითომდა ლატარეია-ალეგრი.

9 ამ თვეს მოვიდა ჩემთან ორი ქალი: სომეხი ქ-ნი არაქს მინასიან-ავასაპიანი და ქართველი ნინო ტოგანიძის ქალი. ამათ გადმომცეს, რომ აპირებენ ლატარია-ალეგრას გამართვას სოფ. ცემში ომში ქართველთა და სომეხთა დაზარალებულების სასარგებლოდ, შემოსავლის ნახევარი „ძმურ ნუგეშში“ უნდა გაიგზავნოსო და მთხოვეს მომეწერა ხელი მით უმეტეს, რომ ქართველთა სასარგებლოთაცააო. მე დიდი სიამოვნებით მოუწერე ხელი და გადავეცი რაც შემეძლო. 11-ს ამ თვეს გამართეს ლატარია. არც განცხადება იყო ამის შესახებ, არც არაფერი. შეიკრიბენ ცემის პატარა მინდორზედ იქვე სადგურთან და სულ ერთს საათში ათამაშეს ბილეთები. მე ვერ დავესწარი ამ არაჩვეულებრივ ალეგრას, რადგან არ ვიცოდი რა დღეს უნდა ყოფილიყო. დღეს შემხვდა ქ. ტოგანიძე, რომელმაც გადმომცა შემდეგი: ამ თვის 10-ს, როდესაც ფულის მომეტებული ნაწილი უკვე იყო შეგროვილი, ქ. მინასიან-ავასაპიანმა განუცხადა ქ. ტოგანიძეს, რომ იმან, ქ. მინ.-ავას., აილო ნებართვა, მხოლოდ ომში დაზარალებულ სომეხთა შორის სასარგებლოდ და ლატარიას მხოლოდ იმათთვინ ჰმართავს. ქ. ნინო ტოგანიძე ჩამოშორდა მას და ალეგრის გამართვაში მონაწილეობა არ მიუღია.

როგორ მოგწონთ, ბატონო მკითხველო, ამისთანა ქცევა ქ. მინასიან-ავასაპიანისა? ფულს აგროვებდა ქართველ ოჯახებში, განა მარტო მოაგარაკეთა შორის, არამედ გლეხების ზოგიერთს ოჯახებშიც კი და ეუბნებოდა ყველას, რომ ქართველ-სომეხთა ომში დაზარალებულთა სასარგებლოდ იმართებოდა ზემო აღნიშნული საღამო; მაგრამ საქმე კი სულ სხვა გვიჩვენა და ეს ფული მარტო სომეხთა დაზარალებულთათვის შეიკრიბა.

მოაგარაკე.

—

**ძირულა** (შორაპნის მაზრა). ძირულა წარმოადგენს ერთ პატარა დაბას, რომელიც სავაჭროების სიმრავლით და მცხოვრებთა რიცხვით არ ჩამორჩება სხვა ზემო-იმერეთის დაბებს. მდებარეობა საუცხოვო აქვს, იქ სადაც ორი მდინარე, ჩხერიმელა და ძირულა ერთვის, წარმოადგენს სწორ ვაკე ადგილს, სადაც ამ პატარა დაბის მეორე ნაწილს შეადგენს, ამ ნაწილში სდუღს ძირულის სიცოცხლე. აქ არის ქარხანა „შრომა“ რომელშიაც მუშაობს სამასი კაცი, რომლის არსებობას მათთვის დიდი სარგებლობა მოაქვს, მით რომ იქ ალებულ ქირით მათ შეუძლიათ სიღარიბისაგან იხსნას სიღატაკეში მყოფი გლეხი. ამ ქარხანაში რიგიანათ არის მოწყობილი მუშის საქმე როგორც საქმით, ისე ქირით, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია ბ. ზვენიგოროდსკი და მისი თანაშემწე კაპიტკოვი, როგორც ამ ქარხნის გამგენი. ამავე ნაწილში არსებობს დაბის ეკლესია, სასოფლო სასამართლო და ორ კომპლექტიანი სამრევლო სკოლა. სკოლა რკინის გზის პირზე სდგას, ეკლესიაზე ცოტათი მოშორებით, შენობა საუცხოვო აქვს ბ. მეთოდე ქათამაძის წყალობით, რომელმაც შესწირა საზოგადოებას სკოლისთვის საკუთარი სახლი ღირებული არა ნაკლებ 4,000 მან. თუმცა სკოლას საკუთარი ძვირფასი შენობა აქვს მაგრამ საქმეების კომპლექტის გამო პროგრამის უქონლობისა და მოწაფეების უმცირესობისა გამო უკიდურეს საფეხურზე სდგას და უკეთესი იქნებოდა, რომ საზოგადოებას ბ. მეთოდე ქათამაძის წყალობით და შემწეობით ამ ორ კომპლექტიან სამრევლო შკოლის მაგივრად დაეარსებინათ ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი ვინაიდან ამ დაბაში სხვა არავითარი სასწავლებელი არ მოიპოვება, ხოლო რაც შეეხება ამ პატარა დაბის პირველ ნაწილს, ეს თვით სადგური და მის გარშემო გორაზე გაშენებული დუქნებია, ამ ნაწილში არსებობს სამკითხველო, რომლის დაარსებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მღვდელს გიორგი მანჯავიძეს და ბ. ვარლამ ჩიხლაძეს, რომელთა მონდომილობით და თაოსნობით აქ დაარსდა 1915 წელს ეს სამკითხველო. თუმცა მათ დაუარსეს, მაგრამ აქაურ ხალხს კი ვერ უცვნია მისი არსებობა და მისი მნიშვნელობა უსახსრობისა გამო ლამის სამკითხველო დღეს თუ ხვალ სრულებით დაიხუროს. მას გულ-შემატკივარი ამ ორი პირის გარდა არავინ არ აღმოჩენია დღემდე. გამგეობაც დიდი საყვედურის ღირსია, რომ მას დღემდე სამკითხველოსთვის ხაზინადარიც ვერ ამოურჩევია თავის წევრთა შორის, რომ კაცმა სამკითხველოსთვის ფული მიაბაროს. ამიტომ ურჩევ გამგეობას, რომ ამოირჩიოს ხაზინადარი და ეცადოს დააყენოს კეთილ-სინდისიერი კაცი და არა მისთანა, როგორიც ადრე ყოფილა, რომელმაც საწევრო ფულზე უარი განუცხადა გამგეობას, რომ მე არ მიმიღიაო.

აქვე არსებობს საკრედიტო ბანკი და ზემოხსენებულ ორი პირის წყალობით ხეირიან ნიადაგზეა დაყენებული. ხოლო ესეთივე აღარ ითქმის აქ არსებულ კოოპერატიულ დუქანზე, რომელსაც უპატრონობისა გამო ჯერ-ჯერობით არ არის მისი საქმე რიგიანათ მოწყობილი, თუმცა ის ჯერ ახალი დაარსებული არის ამ პატარა დაბაში, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, რომ მისი საქმე თავიდან რიგიანად მოეწყო, რომ მით ბოლო უკეთესი ექნებოდა. სხვა აქ არავითარი კულტურული დაწესებულება არ მოიპოვება, ამიტომ იგი ჩამორჩენილია არამც თუ პატარა დაბებს, არამედ ზემო-იმერეთის სხვა სოფლებსაც კი. თუმცა აქ ინტელიგენცია ბლომად არის, მაგრამ მათში ორი კაცი თუ მუშაობს ხალხის საკეთილ დღეოდ, როგორც ბ. მეთოდე ქათამაძე, რომელსაც როგორც წინეთა ვსთქვით ბევრი საქველმოქმედო საქმე გაუკეთებია. მისივე მოთაობით მდინარე ჩხერიმელაზე გაყვანილ იქმნა მშვენიერი ხის ხიდი ქვის კედლებზე აგებული. მაგრამ რა ქნას ერთმა-ორმა კაცმა, თუ მას სხვა მომხრენი და თანამოაზრენი არ ეყოლებიან.

აქაური.

# სპორტი

(ფრანგული ჭიდაობა)

მე 65 დღე ფრანგული ჭიდაობისა.

20 აგვისტოს ჭიდაობდა ოთხი წყვილი.

ამ დღეს პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ორი ბუმბერაზი რუსი **ი. ზაიკინი** და ოსი „ყაზბეგის მთათ“ წოდებული. გამოჩენილი ფალავანის **ი. ზაიკინის** დონე ამ საღამოს დაიჩრდილა—რუს ბუმბერაზი ოდნავადაც ვერ სძრავდა კავკასიელ „ყაზბეგის მთათ“ წოდებულ ოსს. უდიდეს ღონის პატრონი ოსს ფრანგული ჭიდაობის ცოდნა აკლია (თითქმის არა აქვს) და ეს იყო მხოლოდ მიზეზი, რომ ზაიკინი წაუქცეველი გადარჩა. 20 წუთი უშედეგოდ იჭიდავეს.

მეორე წყვილი. ბელგიელი გამოჩენილი ფალავანი **ჟორჟ დაზე** დაეჭიდა ფრანგს—**ჟან საბატიესა** პირველ დასვენების შემდეგ ჟორჟ დაზემ ხერხი „tour he tête-ით“ დასცა ჟ. საბატიე.

მესამე წყვილი. გაიმართა მეტად საინტერესო ჭიდაობა მკლავ მაგარ „თეთრ აპოლონს“ შვედელთა სპორტის „ამომავალ ვარსკლავს“ **ცეიზიხს** დაეჯახა ფრანგულს ჭიდაობაში გაწვრთნილი და დახელოვნებული ტეხნიკი **პ. ზაგორუიკო.** ორივემ მეტის მეტად ასიამოვნეს საზოგადოება მოხდენილ და ნამდვილ სპორტსმენულ ქცევით და ფანდებით, საინტერესო საყურებელია ხერხი „პირუეტი“ რომელსაც მეტად მოხიბლავ და ლამაზ ჩარჩოებში აკეთებს ფანდების „კაროლი“ **პ. ზაგორუიკო,** ჯერ რუსეთის სპორტს არ ყოლია უკეთესად ამ ხერხის ამსრულებელი.

23 წუთის შემდეგ **პ. ზაგორუიკომ** ხერხი „bras dessus-bras dessous“-ით დასცა „თეთრი აპოლონი“ **ცეიზიხი.**

მე ოთხე წყვილი. გამოჩენილი ფალავანი წამქცევი მრავალი პირველ ხარისხოვანი მოჭიდავეთა „მსოფლიო მოჭიდავის“ სახელით დაჯილდოვებული, რუსეთის სპორტის სიამაყე ქ. ბული შეხვდა პეტროგრადის სპორტსმენს სტუდენტი ა. ზ—ეს მრავალ ნაირ-ნაირ სუფთა და კოხტა ფანდების შემდეგ ქ. ბულმა ხერხი „ceintire à rebours“-ით დასცა ა. ზ—ე. დაბოლოს უნდა მოვაგონოთ პატივცემულ „ჟიური“-ს, რომ ყურადღება მიაქციონ ჭიდაობის დროს აკრძალულ ფანდების ხმარებას (რასაც ზაიკინი და პოდუბოვი ხშირად ჩადიან.)

გენო.

რედაქტორ-გამომცემელი
**ხანდრო შანშიაშვილი**


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ | 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, . | 7 „ | 58 „ | საღ. |



მანგლისის გზაზე, თბილისიდან 23--25 ვერსის მანძილ[ზე]
იყიდება 300 დესეტინამდე
რცხილის ტყე მოსაჭრელად და სანაშენოდ.
იმავე მამულში ეძებენ
მერძეობის, მეურნეობის მცოდნე მოზიარეს,
რომელსაც უნდა ჰყავდეს ასამდე მეწველი ძროხა.
დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება მამულაიშვილის ფართლეუ[ლო]ბის მაღაზიაში, სომხის ბაზარი, მანთაშევის ქარვასლა № 20—22.
(10—224—1)

გამოვიდა და იყიდება
კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზია[ში]
(ქუთაისში)
რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово“ ნაწ. I, მეორე გ[ამო]ცემა. უხვად დასუ[რა]თებული, შედგენილი ს. ოცხელის მიერ. ფ. ყდით 2 აბაზი.
ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გ[ამო]ცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა“) თანაგრძნობით შეხვდა.
პრაქტიკის მქონე მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე [მი]ვიდენ, რომ „Новое Сслово“-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივ[ი სისწრაფით] ლისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.
სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს [აც]ნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Спос[объ] разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго сло[ва“] имѣетъ несомнѣнныя достоинства, и умѣлое пользованіе имъ значит[ель]но оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго язы[ка]. „Новое слово“ можетъ быть признано вполнѣ подходьщимъ руко[вод]ствомъ для грузинскихъ народнихъ школъ“.
(თ.—225—1)

თუ გსურთ,
რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის სყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

მიმართე[თ]
ცნობის კონტორას
ი. თ. გვათუას
თბილისი, ვერის დაღმართი, სახლი მელიქ აზარიანისა №
შუამავლობას ეს კონტორა გასწევს როგორც ქალაქელთ[ათვის], ისე ქალაქ გარეშელთათ[ვის].
ყველა საქმეს კონტორა სწრ[აფად] და პირნათლად ასრულებს.
ხელმისაწვდენ ფასებში
მისამართი პროვინციელთათვის: Т[иф]лисъ, Верійск. спускъ И. Гватуа, Справочная конт[ора].

„სორაპნის“ გამოცემა
დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად ივ. გომელაურის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო
ქართველი მწერლები
ნაწილი პირველი. ფასი 1 მანეთი.
კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს დადგენილებით სასწა[ვ]ლებელში ამ წიგნის ხმარება ნება დართულია.
იყიდება აგრეთვე ამავე ავტორის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო წიგნ[ი]
ქართველი მწერლები
ნაწილი მეორე. ფასი 1 მ. 50 კაპ.
პარტიით მყიდველთ შეუძლიათ მიმართონ თბილისში, წერა-კითხვის მაღ[ა]ზიას და გამომცემელს. სტამბა „სორაპანი“ მ. გაჩეჩილაძეს.
(10-295-1

სავაჭრო სახლი
„ძმ. სესიევები და ამხ.“
(ვაგზლის ქ. № 6)
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავ[ის] საწყობში წვრილად გაიყიდება
ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ზე, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ზუშენი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორეჯი და ორაგული, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


ხმა დარიგდება სამედიკო განყოფილებიდან

სტამბა „ცნობის ფურცლის“ კოოპერატიული. გამზრდის შესახვევი № 4.